# საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 აპრილი, 2010 წელი.

№77 (6443)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბერთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge



ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## გამყრელიძემ ათასობით გირვანქა სტერლინგი წყალში გადაყარა? (2)




სკანდალური ჩანაწერის სკანდალური ვერდიქტი



## გიგი უგულავა – არჩევნებამდეც მერი და შემდეგაც? (2)

## რა ითქვა პეტერბურგის სასტუმრო „თალიონში“... (8)




## შიშველი ხელები (4)

## (5) „ჰააგის სასამართლოს პროკურორის საქართველოში ვიზიტი 2010 წლის ივნისისთვის არის დაგეგმილი“

## (7) როგორ „გავააქტიუროთ“ სამედიცინო დაზღვევის პოლისი?

## თანამედროვე ჯიბის ქურდები



(7)

დაგაზღვევთ, ოღონდ სიკვდილის გარანტიით

## საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონია!



(11)

## თოფაძე მტერს?! (3)



მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს! (3)

**◎ დასკვნა**

# გამყრელიძემ ათასობით გირვანქა სტერლინგი წყალში გადაყარა?

## სკანდალური ჩანაწერის სკანდალური ვერდიქტი



**რამდენიმე ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა მემარჯვენე დავით გამყრელიძეს სიმართლის დადგენა. იმ სიმართლისა, რომლის ჭეშმარიტებაში საზოგადოების მოაზროვნე, გონიერ ნაწილს არც აქამდე ეპარებოდა ეჭვი. ეს ეხება მოდელირებული, იმიტირებული თუ ა. შ. რაც გინდათ ის ვუწოდოთ, არარეალური ქრონიკის ეთერში გასვლას, რომელმაც 13 მარტის შაბათ საღამოს მთელი საქართველო დაზაფრა.**

ამის შემდეგ საზოგადოებამ მოისმინა ტელეკომპანია „იმედის“ დირექტორის გიორგი არველაძისა და „ქრონიკის“ ხელმძღვანელის ეკა წამალაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, სადაც კარგად ჩანს, რომ ქვეყნის პრეზიდენტისთვის წინასწარ იყო ცნობილი იმიტირებული, საარქივო მასალებით შეკოწიწებული სიუჟეტის ეთერში გასვლის შესახებ, თუმცა სააკაშვილის გადაწყვეტილებით, გადაცემას ეთერში მსვლელობის დროს ტიტრი არ უნდა ჰქონოდა, რათა საზოგადოებაში უფრო მეტი ეფექტი გამოეწვია. პრინციპში ასეც მოხდა, მაგრამ პრეზიდენტის პრესმდივანმა კატეგორიულად უარყო, რომ სააკაშვილმა წინასწარ იცოდა „მოდელირებული ქრონიკის“ შესახებ.

სატელეფონო ჩანაწერის რეალურობა უარყვეს თავად გიორგი არველაძემ და ეკა წამალაშვილმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ასეთი საუბარი არ შემდგარა და რომ ის იყო არველაძისა და წამალაშვილს შორის შემდგარი საუბრის ფაბრიკაციის შედეგი, რაშიც რუსულ სპეცსამსახურებს ადანაშაულებდნენ.

ამ ფაქტს ოპოზიციის მხრიდან გამოხმაურება მოჰყვა. ისინი კატეგორიულად ითხოვდნენ, ხელისუფლებას ექსპერტიზა ჩაეტარებინა, მაგრამ აბა როგორ, ხელისუფლება ხომ არ „მოიჭრიდა კუდს“?! ამიტომაც ალიანსელებმა მოინდომეს და საქმეში საერთაშორისო ექსპერტები ჩართეს. დავით გამყრელიძე ლონდონში ცნობილ ბრიტანულ კომპანია „ჯი-პი დაბლიუს“ დაუკავშირდა და მიუთითა ის ვებგვერდი, სადაც ეს ჩანაწერი გავრცელდა, რის საფუძველზე ტექნიკური და ლინგვისტური ექსპერტიზა ჩატარდა.

თვენახევარი დასჭირდა ბრიტანელი ექსპერტების დასკვნას, რომლის მიხედვით, ჩანაწერი ნამდვილია. ამის შესახებ გუშინ „თბილისი მარიოტში“ ოფიციალურად განაცხადეს ალიანსის წევრებმა. ბრიფინგს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ჟურნალისტებთან ერთად უცხოელი დიპლომატებიც დაესწრნენ.

გამყრელიძის განცხადებით, საუბარი ნამდვილად შედგა და ის მაყურებელმა ყოველგვარი მონტაჟის გარეშე იხილა. საინტერესოა, აღიარებს თუ არა ამ დასკვნის შედეგებს ხელისუფლება, მაგრამ ფაქტია, რომ ბრიტანული კომპანიის მუშაობაში ეჭვის შეტანა რთულია. ეს ორგანიზაცია აღიარებულია ბრიტანეთის მთავრობის მიერ. „ემ-აი-6“-ის სახელით ცნობილ სტრუქტურაში საიდუმლო სადაზვერვო კომპანიის თანამშრომლები მუშაობენ და მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობენ. **„ეს არის ნამდვილი საუბრის ჩანაწერი, შესაძლოა რამდენიმე ადგილას სახეცვლილი, მაგრამ არა ჩამატებით ან რედაქტირებით, — ნათქვამია დასკვნაში, — მართალია, ზოგიერთი ადგილი შესაძლოა ამოჭრილი იყოს, მაგრამ ჩანართების და დამატებების არანაირი კვალი არ არსებობს. ზოგადი ლექსიკური კავშირები ერთ საუბართან თავსებადია და შედეგად გამოირიცხება შესაძლებლობა, რომ ჩანაწერი მონტაჟია“.**

საინტერესოა ისიც, რომ ბრიტანელების დასკვნის მიხედვით, საუბარი ჩაიწერა თბილისში, იმ მობილური კომპანიის ცენტრალურ სატელეფონო სადგურში, რომლის აბონენტი ეკა წამალაშვილია. მოსასმენ აპარატურას რომ ხელისუფლების სპეცსამსახურების გარეშე ვერავინ დადგამს, ფაქტია. მაგრამ თუკი ამ საუბრიდან კარგად ჩანს, რომ მოდელირებული ქრონიკით სერიოზული შოკი მოუწყო თავის ხალხს პრეზიდენტმა, მაშინ, გაუგებარია, ვისი ინტერესი უნდა წავიკითხოთ აქ?! ხელისუფლების რომელიღაც რგოლის გაკეთებულია, — ამბობს გამყრელიძე. ე. ი. მიხეილ სააკაშვილის მტრების?!

რაც უნდა სკანდალური ვუწოდოთ საერთაშორისო ექსპერტთა დასკვნას, ის, ალბათ, იმ რეზონანსს მაინც ვერ გამოიწვევს, რასაც ალიანსელები მოელიან. წყალში გადაიყარა თუ არა ათასობით გირვანქა-სტერლინგი, პასუხი მალე გაეცემა, თუ ხალხს ამჯერად მაინც ექნება ადეკვატური რეაქცია... თუმცა რაღა დროს!

**თეა მოსია**

**◎ ინფორმაცია თემაში**

## ხელისუფლება კომპანიას არაობიექტურად გამოაცხადებსო

**ექსპერტის მამუკა არეშიძის განცხადებით, მას ეჭვი ეპარება, რომ გიორგი არველაძის და ეკა წამალაშვილის სატელეფონო ჩანაწერის საუბრის საფუძველზე პროკურატურამ გამოძიება დაიწყოს იმის მიუხედავად, რომ მისი ნამდვილობა ექსპერტიზამ დაადასტურა და ჩანაწერის მიხედვით, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დანაშაულები აშკარაა.**

**„ხელისუფლებისგან უახლოეს მომავალში მოვისმენთ, რომ ისეთი ავტორიტეტული კომპანია როგორიც „ჯი-პი დაბლიუა“ და რომელმაც ამ ჩანაწერის ექსპერტიზა ჩაატარა, მიკერძოებულია და არაობიექტური. ეს მისი ბევრჯერ ნაცადი მეთოდია. როცა „ვაშინგტონ პოსტი“ ამ ხელისუფლებაზე და სააკაშვილზე კარგ სტატიებს აქვეყნებს, მაშინ ეს გაზეთი გავლენიანია და ობიექტური გამოცემაა, როცა ამავე გაზეთში საპირისპირო სტატიები იბეჭდება, მაშინ თურმე რუსეთის დაკვეთას ასრულებს და არაობიექტურ მასალებს აქვეყნებს. იგივეს უნდა ველოდოთ ახლაც. მათ მეტი არაფერი ეხერხებათ“, — აღნიშნა „მედიანიუსთან“ საუბრისას მამუკა არეშიძემ.**

მედიანიუსი

**◎ ინფორმაცია**

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე რუსეთ-საქართველოს საკითხზე რეზოლუციას აღარ მიიღებენ

**სტრასბურგში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე რუსეთ-საქართველოს საკითხზე რეზოლუციას აღარ მიიღებენ.**

**ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ განაცხადა.**

**მისი განმარტებით, რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ვითარებაზე ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის თანამომხსენებლებმა რეზოლუციის ერთიანი ტექსტის მომზადებაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, ამიტომ თავდაპირველად გადაწყდა, რომ მომხსენებლები რეზოლუციის ორ ალტერნატიულ ტექსტს - მათიას იორშისა და დევიდ უილშირის მოხსენებებს ცალ-ცალკე განიხილავდნენ.**

**მას შემდეგ რაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დევიდ უილშირის მოსკოვში ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. ელჩთან ვიზიტი გააპროტესტა და აღნიშნა, რომ ამით ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის წარმომადგენელმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და სუვერენიტეტის საერთაშორისო პრინციპები დაარღვია, უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა და 25 აპრილს, კვირას ევროსაბჭოს კომიტეტის სხდომა დაინიშნა. სხდომაზე გადაწყდა, რომ დევიდ უილშირის სეპარატისტების ე.წ. ელჩთან ვიზიტი საერთაშორისო ნორმების დარღვევა იყო, ამიტომ საპარლამენტო სესიაზე რეზოლუციის ტექსტის განხილვა დღის წესრიგიდან მოიხსნა, — განაცხადა კალანდაძემ.**

**მისივე ინფორმაციით, ევროსაბჭომ დევიდ უილშირის მიერ მომზადებული დასკვნა არასარწმუნოდ მიიჩნია.**

ჯი-ეიჩ-ენი

**◎ კანდიდატი**

# გიგი უგულავა — არჩევნებამდეც მერი და შემდეგაც?

**არის, აღსრულდა ოცნება! როგორც იქნა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე თბილისის საკუთარი მერობის კანდიდატი დაასახელა. არავისთვის არ იყო მოულოდნელობა, რომ მერობისთვის ამჟამადაც ამ პოსტის მფლობელი გიგი უგულავა იბრძოლებდა. ის მერობის კანდიდატად გუშინ ოფიციალურად დარეგისტრირდა. ვარაუდი, რომ მმართველი პარტიის შიგნით არეულობაა და ზოგიერთები გიგი უგულავას კანდიდატურას მხარს არ უჭერდნენ, არ გამართლდა, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდებაო, ნათქვამია. ასეა თუ ისე გიგი უგულავა უკვე მერობის ერთ-ერთი რეალური კანდიდატია და წინასაარჩევნო დაპირებებსაც უხვად გასცემს (არც მანამდე აკლებდა, თუმცა შეფარულად).**

— ოფიციალურად დავრეგისტრირდი ნაციონალური მოძრაობის გუნდთან ერთად, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი. მომავალი 34 დღის განმავლობაში ჩვენ შევეცდებით ავუხსნათ თბილისელებს, თუ რის გაკეთებას ვაპირებთ. თითოეული დაპირება იქნება მოკრძალებული, საქმიანი და რეალისტური, რაც დედაქალაქს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. — განაცხადა **გიგი უგულავამ** ცესკოში რეგისტრაციისთვის შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

აღსანიშნავია, რომ 68-კაციან სიას, რომელშიც 25 მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია, დანარჩენი კი პროპორციულ სიაში არიან, კვლავ თბილისის საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი ხელმძღვანელობს. მეორე ნომერია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ ყოფილი თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი, მესამე ხელოვნებათმცოდნე მარიამ დიდებულიძე, მეოთხე — მწერალი ლაშა იმედაშვილი, ხოლო მეხუთე ნომერი — მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსი ტარიელ ხიზანიშვილია. აი, ასე შემოქმედებითად და მრავალფეროვნად გამოიყურება ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სია. თუმცა ერთფეროვნებას არც ოპოზიცია უჩივის, რომელთა კომენტარები გიგი უგულავას მერობის კანდიდატად დასახელებას უკვე მოჰყვა.



**ინგა გრიგოლია, საკრებულოს თავმჯდომარეობის ქრისტიან-დემოკრატების კანდიდატი:** სასაცილოა, რომ ხელისუფლება მერობის კანდიდატსაც კი არ ცვლის, იმდენად მოსწონს მისი საქმიანობა. მმართველი გუნდის მიერ მერობისა და საკრებულოს მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენით ამ ხელისუფლების დასამარცხებლად სერიოზული ბრძოლა დაიწყო.

**ზვიად ძიძიგური, თბილისის მერობის კანდიდატი:** უკვე ვიცი, რომ ჩემი მთავარი კონკურენტი გიგი უგულავაა. ხელისუფლებამ საკუთარი შანსები თავად შეაფასა მაშინ, როცა 30-პროცენტიანი ბარიერი დაამტკიცა. მეტის ალების იმედი მათ არ აქვთ. ჩვენ ვაცხადებთ, რომ დანარჩენ 70 პროცენტს შეუძლია გადაწყვიტოს ამ არჩევნების ბედი. დარწმუნებული ვარ, თბილისელების მხრიდან, როგორც მათ არაერთხელ დაამტკიცეს, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არ უნდათ, კიდევ ერთხელ იქნება იგივე ნაბიჯი გადადგმული.

**დავით გამყრელიძე, ალიანსი საქართველოსთვის ერთ-ერთი ლიდერი:** იმედი მაქვს საზოგადოება ჯეროვან დასკვნას გააკეთებს იქიდან გამომდინარე, თუ რა გუნდით აპირებს მმართველი ძალა არჩევნებში მონაწილეობას. უნდა აღვნიშნო, რომ სლოგანზე ბევრია ნაფიქრი, როგორც ჩანს გადაწყვიტეს, რომ უფრო თავმდაბლურად წარმდგარიყვნენ ელექტორატის წინაშე, მაგრამ ამით არავინ მოტყუვდება. თბილისის მერის პოსტზე უგულავას კანდიდატურის დასახელება ხელოვნურად გაჭიანურდა, რათა მას, როგორც ქალაქის მოქმედ მერს, მეტი ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საშუალება ჰქონოდა.

**როგორც ჩანს დავით გამყრელიძე ამ კომენტარის გაკეთებისას არ ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ არც გიგი უგულავას და არც საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილს უფლებამოსილება არ შეუწყდებათ არჩევნებამდე. მართალია, ნაციონალური მოძრაობის წევრები აცხადებენ, რომ არ მოხდება ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება საარჩევნო კამპანიისთვის, მაგრამ იმას კი არ ამატებენ სხვა რა რესურსს ფლობს ხელისუფლება არჩევნების მოსაგებად. სხვა თუ არაფერი, არჩევნების წინ მოსაყოლი ზღაპრების მართლა აღარავის სჯერა.**

**ანა წიწილაშვილი**

◉ მერობის კანდიდატი

*თითქმის ორი ათეული წლის წინათ, როცა ჩვენს ქვეყანაში შიში, იარაღი და შიმშილი უფრო მეტი იყო, ვიდრე სიხარული, ახალი ქართული პროდუქტი „ყაზბეგი“ გამოჩნდა, რომელმაც ადგილობრივი წარმოებისადმი ნდობა გააჩინა და ქართული ბაზრიდან უცხოური სუროგატი განდევნა. ამის შემდეგ „ყაზბეგის“ სულისჩამდგმელი გოგი თოფაძე თანამოაზრეებთან ერთად შექმნილი მოძრაობით პარლამენტში მოდის. ვარდების რევოლუციამ მათი აქტიურობა ოდნავ შეაფერხა, მაგრამ ამის გამო არც „ყაზბეგი“ გამქრალა და არც პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, მით უმეტეს, პარტიის სახელში გაცხადებული ეს იდეა.*

*დღევანდელი ნომრის სტუმარია გოგი თოფაძე, რომელმაც თბილისის მერობისთვის ბრძოლა ცოტა ხნის წინათ გადაწყვიტა, თუმცა რეიტინგით ტოლს არ უდებს იმ ოპონენტებს, რომლებიც უფრო დიდი ხანია საარჩევნო პოლიტიკურ მარათონში ჩაებნენ.*

# მოვდივარ საქმით, გპირდებით საქმეს!

# თოფაძე მოდის?!



**— ბატონო გოგი, რატომ გადაწყვიტეთ თბილისის მერობისთვის ბრძოლა. მით უფრო, რომ ამ ბოლო დროს ნაკლებად ჩანდით პოლიტიკურ ასპარეზზე?**

— შეიძლება არ ვაქტიურობდი, თუმცა ყოველთვის მაწუხებდა ჩემი ქვეყნის ბედი და ის უკუღმართობა, რაც საქართველოში დატრიალდა. ვხედავ, რომ ასე გაგრძელება — საგარეო, საშინაო ეკონომიკური თუ სოციალური პოლიტიკის ასეთი სახით წარმართვა უფსკრულში გადაგვჩეხავს. კიდევ მქონდა იმედი, რომ რაღაც შეიცვლებოდა, შეცდომებს მიხვდებოდნენ, პირიქით, უფრო და უფრო კრიტიკულ ზღვარს მივუახლოვდით. მე როგორც თბილისელი, ქართველი, აღშფოთებული ვარ ქვეყნის ასეთი მკვეთრად გაუსაძლისი მდგომარეობით. მინდა, ჩემი შესაძლებლობებით შევცვალო არსებული ვითარება და თბილისს მისთვის დამახასიათებელი ტრადიციები და იერსახე დავუბრუნო.

განსაკუთრებით მიუღებელია მეზობელი სახელმწიფოს და მათი ხელმძღვანელების ლანძღვა-გინება, ძეგლების აფეთქება, ეკლესიის ნგრევა, ადამიანების პროფესიული ღირსების შელახვა და სხვა. აი, ჩემი ძირითადი მოტივი, რამაც მერობისთვის ბრძოლა გადამაწყვეტინა.

**— თქვენ საქვეყნო მწვავე საკითხებს შეეხეთ, ვიდრე თბილისისთვის ლოკალური მნიშვნელობის პრობლემებს. თქვენ გგონიათ, რომ მერის სავარძელი პოლიტიკური ტრამპლინია, თუ მას უყურებთ, როგორც გამოცდილი მეურნე?**

— თბილისის თავი არის მეორე პირი ქვეყანაში. თავის გავლენითა და ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტებით, მას ვერც სპიკერი შეედრება და ვერც პრემიერ-მინისტრი. როგორც თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, არ მომწონს ის, რაც ჩვენს დედაქალაქში ხდება. მოჩვენებითი კოსმეტიკური შეფერილობით ქალაქსა და ქალაქელებს ვერ უშველი, როცა ირგვლივ უამრავი პრობლემაა. შეიძლება ისეთი პროექტის განხორციელება, როგორიც ახალი შემინული საცალფეხო ხიდია, მაშინ როცა თბილისელთა 20 პროცენტი ავარიულ სახლებში ცხოვრობს?! ამის შემხედვარე მერს, როგორ უნდა ექინოს? აი, საზოგადოება უფრო აქტიური რომ იყოს, ხელისუფლება ასეთ რამეს ვერ გაბედავდა.

ჩვენს საარჩევნო პროგრამაში დეტალურად ჩამოვაყალიბეთ ჩვენი პოზიცია და საკითხები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია ოთხი წლის განმავლობაში.

**— თბილისის ბიუჯეტი, როგორც ჩანს, ხელოვნურადაა გაბერილი, რომელიც ცენტრალური ბიუჯეტიდან საზრდოობს. თქვენ რა ბერკეტები გაქვთ მის შესავსებად?**

— ჩვენ თავად უნდა შევქმნათ დოვლათი მართებული ეკონომიკური პირობებით. თუკი მერი იქნება დამოუკიდებელი და არა მმართველი გუნდის წევრი, ან მასზე მიბმული სატელიტი, ის გაცილებთ მეტს გააკეთებს, არა ბიზნესის დაყაჩაღებით, არამედ ბიუჯეტის შექმნით.

**— როგორ?**

— ქვეყნისა და თბილისის უპირველესი პრობლემა უმუშევრობაა. ერისთვის ტრაგედიაა, როცა ქართველი კაცი უმუშევარია, არადა ტრადიციულად ქართული ოჯახის სიმყარე ყოველთვის მამაკაცის სიძლიერეზე იყო დაფუძნებული. დღეს მათ უმეტესობას ფუნქცია წართმეული აქვს. უმუშევრობა თბილისში ადვილი დასაძლევია. მერს შეუძლია აკრძალოს გენმოდიფიცირებული, დაბალხარისხიანი, ვადაგასული პროდუქციის ქალაქში შემოტანა და ამით ქართული ნატურალური პროდუქტი მიაწოდოს თბილისელებს.

თბილისში პირველივე წელიწადს 30 საწარმო ამუშავდება, შენობები არსებობს, მათ მხოლოდ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და მარკეტინგული სამუშაოების დასახვა სჭირდება.

**— ვინ უნდა განახორციელოს კაპიტალდაბანდება, თბილისის მერიამ თუ კერძო ინვესტორმა?**

— ამას ბიუჯეტიდან 100 მილიონი ლარის გამოყოფაც ეყოფოდა. ექსპერტთა გათვლებით, ეს გაზრდის შემოსავალს და 55 ათას ოჯახს დააკმაყოფილებს, რა თქმა უნდა, იმპორტის კორუმპირებულ გარიგებებს თავი უნდა დავაღწიოთ და გზა გავუხსნათ ნაწარმს, რომელსაც ჩვენ ჩვენივე ნედლეულით გაცილებით უკეთ დავამზადებთ.

ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სისტემის მოწესრიგება. ვგეგმავთ პირველივე წელიწადს ერთი მუნიციპალური საავადმყოფოს გახსნას, რომელიც თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიით აღიჭურვება და 300-400 ადგილზე იქნება გათვლილი. ამისთვის შენობები ბევრია, ამიტომ 22-24 მილიონი ლარი საკმარისი იქნება. საავადმყოფო ადგილობრივებს უფასოდ მოემსახურება, თუმცა ის კვალიფიციური მედპერსონალით დაკომპლექტდება და ასევე მიიღებს პაციენტებს სხვა ქალაქებიდან, მეზობელი ქვეყნებიდან, ამიტომ თავის შენახვა არ გაუჭირდება.

**— რას იტყვით ქვეყანაში არსებულ გადასახადებზე? ამით ჩვენს ხელისუფლებას თავი მოაქვს.**

— ჩვენთან დაბალი კი არა, ძალიან მაღალი გადასახადებია და ამდენი წელია გვატყუებენ. დღგ 18 პროცენტიაო, მაგრამ გააჩნია, რას ბეგრავ. აბა იანგარიშეთ, რამდენი ეტაპი უნდა გაიაროს პროდუქტმა საბოლოო სახის მიღებამდე და რამდენჯერ უნდა გადაიხადოს მეწარმემ დღგ. აი, ასეთი თაღლითები არიან და ხალხს ახრჩობენ.

ექსპერტების ანგარიშით, ბიუჯეტის დაახლოებით 40 პროცენტი მხოლოდ საურავებითა და ჯარიმებით ივსება. თუკი ხელისუფლებას დასჭირდება, ყოველთვის შეუძლია დაბეგროს და დააჯარიმოს ბიზნესმენი. ამან დაღუპა ბევრი წარმოება. მცირე და საშუალო ბიზნესს უნდა დავუწესოთ ფიქსირებული გადასახადი. ამასაც მუდმივი კონტროლი უნდა, რადგან ხელისუფლებამ შეიძლება რამე თაღლითური დაბეგვრის სისტემა შემოგვთავაზოს.

ჩვენთვის მტკივნეული თემაა ანაბრები. ბევრი საარჩევნოდ პირდება ამომრჩეველს ან აზრების დაბრუნებას. ეს არის საზოგადოების შეურაცხყოფა, რადგან ამ ვალის გასტუმრებას ქვეყნის ერთი წლის ბიუჯეტიც არ ეყოფა.

**— თქვენ რას სთავაზობთ მეანაბრეებს?**

— ქვეყანაში ბევრი რამ იყიდება: მიწები, შენობა-ნაგებობები, საწარმოები და ა. შ. ჩვენ გვაქვს წინადადება დაზარალებული მეანაბრეები ჩაერთონ პრივატიზაციის პროცესში, რისთვისაც აუცილებელი იქნება მყიდველმა შესაძენი ობიექტის ღირებულების 10 პროცენტი გადაიხადოს მეანაბრეთა ფონდში.

**— რას იტყვით იმ დაპირებებზე, რომლითაც ნოღაიდელი ცდილობს მოხიბლოს ამომრჩეველი?**

— ნოღაიდელის არაფერი მჯერა. ის არ იყო ფინანსთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი, როცა ბიზნესის დაყაჩაღება დაიწყო?! ვედავებოდით საგადასახადო კოდექსის ირგვლივ, მაგრამ შეუვალი იყო. თითებს წავაჭრი პრეზიდენტსო, რომ იმუქრება, თავის დროზე თავი მოეჭრა, მის გვერდით არ იყო?! მაგრამ კორუმპირებულია მთელი გუნდი, ამიტომაც ვერ უბედავენ ვერაფერს. აბა, მე რომ ასე დავემუქრო პრეზიდენტს, მაპატიებენ? მეც არ მომწონს ჩემი პრეზიდენტი, მაგრამ სხვა ქვეყნის ზურგით გულმოცემული რატომ უნდა ვაგინებდე მას?!

**— ე. ი. ოპოზიციას გაერთიანებისკენ რომ მოუწოდებენ, თქვენ მათთან თანამშრომლობას არ აპირებთ?**

— ნოღაიდელთან ერთად არა. სხვა მხრივ ამბიციები არ გამაჩნია, დღესვე მოვხსნი კანდიდატურას რეიტინგული ლიდერის სასარგებლოდ. მხოლოდ ამერიკელების გამოკვლევების მიხედვით არა. უნდა დასხდეს ყველა პოლიტიკურად აქტიური პარტია, იმის მიუხედავად, მონაწილეობენ თუ არ მონაწილეობენ არჩევნებში და ამის შემდეგ გადავწყვიტოთ, ვინ უნდა იყოს ერთიანი კანდიდატი.

**— ბუნებრივია, არჩევნებზე გამარჯვებისთვის მიდიხართ, მაგრამ ამ საარჩევნო კანონმდებლობით, სიებით ძნელი არ იქნება ბრძოლა?**

— მართალია, ძნელი იქნება. ხელისუფლება ორ რამეში დაოსტატდა: პიარი და არჩევნების გაყალბება. ფაქტია, რომ სირთულეებს დავეჯახებით იმის მიუხედავად, რომ ჩვენმა პარტიამ ძალიან აქტიურად იმუშავა საარჩევნო სიების დასახვეწად.

თუმცა მე სხვანაირ აქტიურობას ვთხოვ ჩემს კოლეგებს. თბილისში სულ 700 საარჩევნო უბანია. არჩევნების დღეს ოპოზიციის ხუთ-ხუთი წარმომადგენელი დადგეს უბანზე და აღნუსხონ, რამდენი ამომრჩეველი მოვა. ამაში უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო დამკვირვებლებიც. თუ ხელისუფლება უჩვენებს მაღალ ციფრებს, ჩვენ რეალური მონაცემები გვექნება. შეიძლება ეს მონაცემი არ იყოს იურიდიული ძალის მქონე, მაგრამ სინამდვილე გვეცოდინება.

**— რეგიონებში როგორ ემზადებით?**

— იქ მოსახლეობა ძალიან არის დაშინებული, მაგრამ მხარდამჭერებიც ბევრი გვყავს, ჩვენი პარტიიდან იყრიან კენჭს. ჩემი მერობისთვის ბრძოლის ერთ-ერთი მოტივი ისიც იყო, რომ მთხოვეს, შენც თუ იყრი კენჭს, ჩვენც უფრო გაბედულები ვიქნებითო. ხალხში დიდია პროტესტის გრძნობა, ბევრია ისეთი, ვისაც სჯერა, რომ მრეწველობა გადაარჩენს ქვეყანას. რაში გვჭირდება უცხოელების კარნახი, როგორ შეიძლება ბიზნესის აღორძინება, როცა ჩვენ ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე გვყავდა?! წაიკითხეთ და ნახეთ, რას გვთავაზობდნენ ისინი...

**— ბატონო გოგი, გამარჯვებას გისურვებთ. თუმცა, არ გიფიქრიათ, რა დაემუქრება თქვენს ბიზნესს დამარცხების შემთხვევაში?**

— რაც „ყაზბეგი“ შევქმენი, მოსვენებული არასოდეს ვყოფილვარ... ჯერ იარაღიანები ბოგბოქრობდნენ, მერე სხვები, მაგრამ მაინც ვაგრძელებ ჩემს საქმეს. ბევრს უნდა „ყაზბეგის“ ყიდვა, მაგრამ არ გავყიდი. მოვა დრო, კანონები შეიცვლება, ჩვენც ფეხზე დავდგებით და უფრო ავღორძინდებით.

ქართველი კაცი ყოველთვის გამონახავს გამოსავალს, ახლა მთავარია, ქვეყანა გადავარჩინოთ.

ესაუბრა
**თეა მოსია**

◉ ინფორმაცია

## სამხედრო ქალაქების ნაწილი აგვისტოში გაიხსნება

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ქალაქების ნაწილი ამ წლის აგვისტოში გაიხსნება.**

ამის შესახებ სააგენტო „რესი“ იუწყება.

გავრცელებული ინფორმაციით, სამხედრო ქალაქების მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, რომ ნაწილის მშენებლობა ერთი წლის თავზე, ამ წლის აგვისტოში დამთავრდეს. კერძოდ კი საუბარია, ზნაურის ოკუპირებული რაიონის სოფელ მუგუთში მშენებარე სამხედრო ქალაქზე, სადაც სამშენებლო სამუშაოები გასული წლის 20 აგვისტოს ჩრდილო ოსურმა კომპანია „ტურმა“ დაიწყო.

ოსი სეპარატისტების განცხადებით, მათი მიზანია სამხედრო ქალაქების მშენებლობა რაც შეიძლება მალე დასრულდეს, რათა ე.წ. საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოხდეს.



## ქართული დელეგაციის ნაწილი სანკტ-პეტერბურგიდან დაბრუნდა

**ქართული დელეგაციის ნაწილი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის მიერ ორგანიზებულ მსოფლიოს ქართული დიასპორების ფორუმზე იმყოფებოდა, თბილისში უკვე დაბრუნდა.**

დელეგაციის რამდენიმე წევრი თბილისში გუშინწინ საღამოს ჩამოვიდა.

აეროპორტი უკომენტაროდ დატოვა ვალერი კვარაცხელიამ.

ელიზბარ ჯაველიძის განცხადებით,



ძირითადი საუბრის თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა იყო.

ექსპერტ რამაზ კლიმიაშვილის განცხადებით, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თავმჯდომარე ალექსანდრე ებრალიძე ქართული დელეგაციის წევრებს პირისპირ არ შეხვედრია.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ ხედვა შორიდან

***ქართული პარადოქსია, ალბათ განუმეორებელი, ყოველ შემთხვევაში მსგავსი მაგალითები, წარმატებით (!) დაგვირგვინებული, ისტორიამ არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, იმდენად აბსურდულია ყველაფერი: იდგე შეიარაღებული ბანდიტების წინაშე შიშველი(!) ხელებით და კატეგორიულად მოითხოვდე: დამიბრუნე რაც წამართვი — სამართალი, სამშობლო, ქონება... შენ კი შენი ფეხით მიბრძანდი ციხეშიო!***

***ასეთი რამ ზღაპრებშიც არ ხდება! ასეთი რამ მხოლოდ ენის მოსაფხანად ხდება!***

# შიშველი ხელები

თან, ეტყობა, ნამეტანი რომ არ მოგვივიდეს და გულები არ დავუხეთქოთ, სისტემატურად ვაფრთხილებთ: არც ქვებით ჩავქოლავთ და არც როზგებს გამოგიწერთ, ერთ წვეთ სისხლსაც არ დავღვრით, ხომ ხედავთ, რა ხანია შიშველი ხელებით მოვდივართ (არც ბალახი გაგვითელია და არც ჭიანჭველა გაგვისრესია, ფოთოლიც კი არ შერხეულაძ და მერამდენედ გაფრთხილებთ (ანეკდოტად ქცეული ცნობილი ჩინური გაფრთხილებებისა არ იყოს!ძ — ერთი კაცის სიცოცხლის ფასადაც არ გვიღირს ჩვენი ღირსება და ადამიანურად ცხოვრება. წავიდა ის დრო, არქივს ჩაბარდა, როცა ჩვენი წინაპარი ხმალამოღებული იბრძოდა საკუთარი ღირსებისთვის, როცა მოღალატეებს ცხენის კუდზე გამოაბამდნენ და სარზე სვამდნენ, ახლა ნურაფრის გეშინიათ, თითსაც არ დაგაკარებთ, მაგრამ ყველას გასაგონად ხმამაღლა ვიტყვით და გამეორებით არ დავიღლებით, რომ თქვენ ბანდიტები ხართ, მკვლელები, ქვეყნის დამაქცევარნი, გამყიდველი იუდები, გადადექით თქვენი ნებით და აირჩიეთ თქვენივე აშენებულ-გარემონტებული ქსანი-გლდანი-რუსთავ-ხონის ციხეები. საკუთარი ხელით თოკის გასანთლვას არ მოვითხოვთ, სასჯელის ეს ზომა ჩვენ, როგორც ევროპელებმა(!ძ, რა ხანია გავაუქმეთ ყველასათვის!

იცოდეთ, თქვენი არც რეზინის ტყვიების გვეშინია და არც თქვენგან, თქვენი მიზეზით დაღვრილი სისხლის, თუნდაც ასობით და ათასობით ახალგაზრდის სიცოცხლით იზომებოდეს იგი, ჩვენ ჩვენი თავკაცობით წაყვანილი ხალხი გვადარდებს მხოლოდ, სხვა არაფერი, ამიტომ ერთ ლოყაში რომ გაგვილაწუნებთ, მეორეს მოგიშვერთ ქრისტიანულად! ეს ძველად ებრძოდა ქრისტიანი ერი და ბერი გარეულ თუ შინაურ მტერს მახვილით ხელში, თორემ ახლა, როგორ გეკადრებათ, ეს ხომ ბარბაროსობა იქნება და საძრახისი საქციელი, ჩვენ დასავლურ ღირებულებებს ვართ ნაზიარები და ამიტომ უნდა ძრწოდეთ ჩვენი ზეალმართული შიშველი ხელების შემხედვარენი!

არათუ რამეს დავიჭერთ ხელში (ამას რომ სისხლი მოყვეს, ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, ჩვენ? როგორ გეკადრებათ, პარტიის ლიდერები კი გვქვია, მაგრამ ერის წინამძღოლებად და მხედართმთავრებად როდი ვვარგივართ, ჩვენ „ლაყაფში“ ვართ მაგრები!ძ, არამედ იმასაც კი არ ვიტყვით, ერთ თეთრს დავხარჯავთ ხელისუფლების ჩამოსაგდებადო. ხომ გვახსოვს ანალოგიური გამოთქმისთვის შეიარაღებული ამბოხის ბრალდება რომ წაუყენეს უბედურ პატარკაციშვილს, თანაც მხოლოდ სიტყვიერი განცხადებისთვის, დახარჯვა ვერც მოასწრო, ისე მიაწვდინეს შორეულ ალბიონში დემოკრატიის შუქურით განათებული „მართლმსაჯულების“ მსახვრალი ხელი (რა მნიშვნელობა აქვს საკუთარი თუ სხვისი!ძ .

ისე, ბუშის მოსვლიდან, 2000 წლიდან, ჩვენი „რესპუბლიკელების“ და კიდევ ბევრის — მთავრობა-არასამთავროებში სათაყვანებელი მამა-მარჩენალი და პრეზიდენტ-მინისტრებისთვის ხელფასების ჩამომრიგებელი, ბირჟის სპეკულანტი სოროსი საჯაროდ, მთელი მსოფლიოს გასაგონად იმუქრებოდა, ბუშის ჩამოსაგდებად მილიონებს დავხარჯავო და ეს მუქარა სისრულეშიც მოყავდა — რვა წლის მანძილზე ასეულობით მილიონი დახარჯა მიზნის მისაღწევად, მაგრამ, ჰოი საკვირველებავ, არც დასავლეთში და არც ჩვენთან არავის არ მოსვლია აზრად მისი დამნაშავედ გამოცხადება, არც დაჭერით დამუქრებიან და არც უხმაუროდ, „გულის შეტევით“ მისი „წყალგაღმა გაშვება“ უცდია ვინმეს.

ერთი რამ შესაგნები გვაქვს (არა, კი ვიცით, მაგრამ „გამეორება ცოდნის დედაა“, არ გვაწყენსძ — საკუთარი ხელისუფლების ჩამოსაგდებად (იყოს შესაცვლელადძ თუ ქართველმა, უცხოეთში ან საქართველოში მაცხოვრებელმა, დახარჯა ფული, ყველანი სისხლის სამართლის დამნაშავედ მოინათლება და საკუთარი (ან ოჯახის წევრისძ სისხლით აგებს პასუხს, მაგრამ თუ იგივე და ასჯერ მეტ ხარჯებს სოროსი და ძმანი მისნი გაიღებენ და ახალ-ახალ ფერად-ფერად რევოლუციებს მოაწყობენ, მაშინ ამას დასავლეთის მიერ დემოკრატიის დამყარება და დიქტატურისგან დაჩაგრული ხალხის განთავისუფლება დაერქმევა (სულერთია, კავკასიაში იქნება ეს, შუა აზიაში, ავღანეთ-ერაყ-ირანში, აფრიკაში თუ ლათინურ ამერიკაშიძ.

ამიტომ რა უნდა ვილონოთ? რა და, სოროსის სამშობლოში (ისტორიულში ან გეოგრაფიულშიძ თავი უნდა მოვაწონოთ ფულისა და ძალაუფლების მქონე და ჩვენისთანებზე „მაფიქრალ“ ხალხს. და თუ თვალში მოუვედით, ეგებ კაი რბილ სავარძლებსაც გამოვკრათ ზოგიერთებმა (ამერიკაში ხშირად მოსიარულეთაგანძ ხელი! და ისე ხავერდოვნად, „ფოთოლცვენის“ გარეშე მივაღწევთ „სანუკვარ“ ოცნებას, რომ კარგა ხანს შეიძლება ვერც კი მივხვდეთ (სავარძლების გარეშე დარჩენილებმა!ძ, რომ „ვარდების რევოლუციის“ მეორე სერიას გვაყურებინებენ, რომ კრედიტებთან ერთად, „ხალხზე მზრუნველი“ ისეთივე ცხვირმოუხოცავი და სინდისნამუსიანი პრეზიდენტ-მინისტრები შემოგვტენეს, როგორც 2003 წელს! აზრზე მოსვლის შემდეგ ისევ შიშველ ხელებს აგვაწევინებენ და გვაყბედებენ წლობით, სანამ თავად არ გადაწყვეტენ ახალი, მედიასაშუალებებით იმიჯ-სახელშექმნილი და სათანადო ტრეინინგგავლილი ახალგაზრდა კაცის მოყვანას „არჩევნების“ გზით, ან თუ საჭიროდ ჩათვალეს, მეტი დამაჯერებლობისთვის (ხალხის „დასაბმელად“!ძ პატარა ფერადი „რევოლუციის“ გზითაც, ვითომდაც აღშფოთებული ხალხის მიერ მოწყობილის.

სანამ ქართველი ხალხი, პირველ რიგში კი პარტიების ლიდერები, ისტორიის გაკვეთილების ღრმა(!ძ ცოდნას სხვადასხვა სახელმწიფოში და ეპოქაში რევოლუციების და გადატრიალებების მოწყობა-მომწყობებზე, მოკლებულნი არიან, მანამ სწორი არჩევანის გაკეთება გაუყალბებელი არჩევნების შემთხვევაშიც გაძნელდება და, როგორც გაგვაცურეს „შუქურის“ პირველი არჩევნების დროს (მაშინ ხომ არ გაუყალბებიათ!ძ, ზუსტად ისევე მოგვივა სხვა დროსაც — თანამედროვე ტექნოლოგიების და კარგად დაფინანსებული წინასაარჩევნო კამპანიის მეშვეობით ისეთ კანდიდატურებს (არა ერთს!ძ შემოგვთავაზებენ და გამარჯვებულსაც ისე გამოავლენენ მათგან (მოტყუებული, პიარკამპანიებით ტვინგამორეცხილი ხალხის, ანუ ჩვენს მიერ მართლაც მიცემული ხმებით!ძ, რომ თუნდაც დროზე გავერკვეთ — ვინ ვინ არის, უკვე გვიან იქნება თითზე კბენანი, ჩვენი იმედები 2003 წლის ნოემბრის იმედებივით ჩაილურის წყალს დალევს და დაიწყება, ალბათ ისევ შიშველხელებიანი ხანგრძლივი ლაილაი-მიტინგობანას ახალი წრე (ისე, სხვა სცენარებით გავლილ წრეებს თუ არ ჩავთვლით, ეს უკანასკნელი წრე ჯერ კიდევ გასავლელ-დასამთავრებელი გვაქვს!ძ.




ერთი სიტყვით, დღევანდელ დღეს (2007 წლიდან დაწყებულიძ პრობლემის გადაწყვეტის არაჩვეულებრივად დახვეწილი, სხვა ხალხებისთვის მისაბაძი ისეთი მეთოდისთვის გვაქვს მიგნებული, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი! საცქერლად მართლაც შესანიშნავია და გულის ამაჩუყებელიც, მაგრამ საქმით რომ არაფერი გამოგვდის? მერე ერი (პატივაყრილიძ?, მერე სამშობლო (განიავებულიძ?, მერე ღირსება (შელახულიძ? ერი, სამშობლო, ღირსება! კარგით რა, მოგცლიათ! რა დროს ეს დრომოჭმული ცნებებია, რით ვერ გაიგეთ, რომ თუ გინდა ფეხი აუწყო თანამედროვე, მოწინავე, დემოკრატიულ მსოფლიოს და „დინების წინააღმდეგ“ არ წახვიდე, კარგად უნდა დაიმახსოვრო — მთავარია ფული, სექსი და კოსმოპოლიტობა, ანუ უჯიშობა! დანარჩენი, წყალსაც წაუღია!

„ესაა ჩემი კომენტარი“!

და წერტილსაც აქ ვუსვამ ჩემს ტკივილიან სათქმელს, მაგრამ აუცილებლად უნდა მოვიყვანო უცხოელის მიერ „შიშველხელებიან პოლიტიკაზე“ თქმული. სადამდე მივყავართ, რა შედეგებს იძლევა ამგვარი „პოლიტიკა“ ბევრად უფრო ფართო, მთელი ქრისტიანული სამყაროს მასშტაბით, როცა საკადრისი პასუხი, თითქოსდა, ქრისტიანულ მორალს ეწინააღმდეგებოდეს, თითქოსდა ქრისტიანობას მხოლოდ მეორე ლოყის მიშვერა შეეძლოს მხოლოდ!

აი, რას ამბობს ედმუნდ ბიურკის ინსტიტუტის (ვაშინგტონიძ პრეზიდენტი ჯეფრი კიუნერი „ვაშინგტონ ტაიმსში“ ორიოდე კვირის წინათ გამოქვეყნებულ თავის წერილში — „ქრისტიანოფობია“:

„ამერიკის დამფუძნებელი მამები ხაზს უსვამდნენ, რომ კონსტიტუციური რესპუბლიკა რელიგიურ საზოგადოებას ემყარება, რომ ძირითადი თავისუფლებები ყოვლისშემძლე ღმერთისგან მოდის, და არა — სახელმწიფოსგან. **ის, რაც ღმერთისგან გვაქვს ნაბოძები, მისი წართმევა არ შეუძლია არც ადამიანს და არც რეჟიმს. როგორც კი ამერიკა დაკარგავს ქრისტიანულ იდენტურობას, ის აუცილებლად დაკარგავს თავის თავისუფლებებს“;** „მემარცხენე პროგრესისტებმა მიზნად დაისახეს ამერიკის ფუძემდებლური ინსტიტუტების — კონსტიტუციის, კაპიტალიზმის, სუვერენიტეტის და ოჯახის განადგურება, და ამიტომაც გამოუცხადეს მათ ომი ქრისტიანობას“... ლიბერალებს მიზნად აქვთ დასახული ტრადიციული ღირებულებების მოსპობა და ქრისტიანების იატაკქვეშეთში ჩამწყვდევა. თვითგადარჩენის ინსტინქტი და, აგრეთვე, სიმხდალე მათ კარნახობს არ შეუტიონ ზოგიერთ სხვა რელიგიას. **ისლამის მიმდევრებს ვერაფერს ვერ უბედავენ, ქრისტიანები კი ადვილი ნადავლია.** ისინი მშვენივრად აცნობიერებენ, რომ ქრისტიანებს ჯიხადის აუცილებლობის და თვითმკვლელი-ტერორისტების არა სწამთ, რომ **ქრისტიანობა ჭეშმარიტი მშვიდობისმოყვარე რელიგიაა, და ამიტომაც არ ეშინიათ მისთვის სისტემატურად ჩირქის მოცხების“ (ავტორი** მოუწოდებს **ყველა ქრისტიანს გამოვიდნენ აპათიიდან და უკომპრომისო პასუხი გასცენ ქრისტიანული მემკვიდრეობის დამცირების მოსურნეებს).**

სწორედ ასეა ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაშიც, ამიტომაც არა აქვთ პრეზიდენტ-მინისტრებს, მოსამართლეებს და დეპუტატებს არავითარი შიში. მართლა სულელები უნდა იყვნენ, რომ მხოლოდ მუქარის სიტყვებით ჰაერის შეზანზარების შეეშინდეთ; ყურისთვის არასასიამოვნო მოსასმენს კი ადვილად ეგუებიან — როგორც მიფურთხებულს, ისე იწმენდენ გაგონილს ერთი ყურიდან მეორეში გაშვებით.

ჰოდა, რაღა დაგვრჩენია — კიდევ ერთხელ ავწიოთ მაღლა-მაღლა, კარგად რომ დაგვინახონ(!ძ, შიშველი ხელები (ფეხების ნებით აწევა საჭირო არ არის, ფეხებს ხომ ისედაც გვაწევინებენ, ძალით!ძ და როცა დაგვეღლება, დაბლა დავუშვათ, ფეხებიც რომ დაგვეღლება დგომისგან, სახლებში წავიდეთ და... საქართველოს სიყვარულის სადღეგრძელო შევსვათ.

**ოღონდ, არ დაგვავიწყდეს, თითო ჭიქა იმ ათასობით დაღუპულ (ომში თუ მშვიდობაში!) ქართველსაც წავუქციოთ, რომლებიც მხოლოდ იმიტომ დაიღუპნენ, რომ მათთვის თითო წვეთი სისხლი ჩვენ, ყველამ ვერ გავიმეტეთ!**

**იაკობ ლეჟავა**
**9 აპრილი, 2010 წ.**

◉ ინფორმაცია

## ევროკავშირთან საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 358 მლნ აშშ დოლარს შეადგენს

**ევროკავშირის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2010 წლის იანვარ-მარტში 358 მლნ აშშ დოლარზე დაფიქსირდა.**

**როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან იტყობინებიან, აღნიშნული მაჩვენებელი წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებს 16 პროცენტით აღემატება.**

**მიმდინარე წლის იანვარ-მარტში, ევროკავშირთან ექსპორტი 82 მლნ აშშ დოლარს შეადგენდა, ხოლო იმპორტი — 276 მლნ აშშ დოლარს. საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 26 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 24 პროცენტი და იმპორტში 27 პროცენტი.**

**საანგარიშო პერიოდში, დსთ-ის ქვეყნებთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 429 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 17 პროცენტით მეტია. აქედან, ექსპორტი 118 მლნ აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი — 311 მლნ აშშ დოლარი.**

**საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში დსთ-ის ქვეყნების წილი 32 პროცენტი იყო, მათ შორის ექსპორტში 35 პროცენტი და იმპორტში 30 პროცენტი.**

## ვახტანგ იობაშვილი: საავტომობილო ზეთების ხარისხის მხრივ ბაზარზე პრობლემებია

**საქართველოში რეალიზებული საავტომობილო ზეთების ხარისხის მხრივ ბაზარზე დიდი პრობლემაა. ამის შესახებ საქართველოს სერტიფიცირებისა და მონიტორინგის ორგანოს ხელმძღვანელმა ვახტანგ იობაშვილმა განაცხადა.**

**მისი თქმით, ქვეყანაში რეალიზებული ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის მონიტორინგი ნებაყოფლობით ხორციელდება, თუმცა, საკმაოდ დიდი პრობლემაა ზეთების სექტორში, რაც აღნიშნული პროდუქტის ფალსიფიცირებას უკავშირდება.**

**როგორც იობაშვილი განმარტავს, საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა ქვეყანაში ცნობილი ბრენდების ჭურჭელსა და შეფუთვაში გაურკვეველი წარმოშობის ზეთები იყიდება. ამდენად, საჭიროა მისი შემოწმებაც.**

**— ჩვენ ტექნიკურად გვაქვს შესაძლებლობა ყველა სახის ნავთობპროდუქტი შევამოწმოთ. გარდა ბენზინის, დიზელისა და ზეთისა, შესაძლებელია მაზუთის შემოწმებაც. ყველა სახის პროდუქტის ექსპერტი გვყავს და კარგ ლაბორატორიებთანაც გვაქვს ხელშეკრულება გაფორმებული, — განაცხადა იობაშვილმა.**

**ამასთან, მისი თქმით, სერტიფიცირებისა და მონიტორიგის ორგანოს ხელშეკრულება გზების დეპარტამენტის კვლევით ინსტიტუტთანაც აქვს გაფორმებული, რომელიც საგზაო ბითუმის ექსპორტს ახორციელებს.**

**— საგზაო ბითუმი ის პროდუქციაა, რომელშიც შეუმოწმებლად მილიონების დახარჯვა არ შეიძლება. აუცილებელია შემოწმდეს რა კატეგორიისა და ხარისხისაა ბითუმი, რადგან ხშირია, როცა ასფალტი დაიგება, მალევე, წვიმის შემდეგ, იგი იშლება, — განაცხადა იობაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ არის წინადადება!

# არჩევნები

**თავსმოხვეული ხელისუფლება რომ ძვირი უჯდება ხალხს, ეს არაერთხელ გამოუცდია თითოეულ ამომრჩეველს. იმისათვის, რათა არჩევნებმა შეასრულოს თავისი დანიშნულება, აუცილებელია მისი ძირფესვიანად გაუმჯობესება.**

იმისათვის, რათა ამომრჩეველმა განსაზღვროს არჩევნების შედეგები, აუცილებელია ხმასაც თვითონ ითვლიდეს. გაყალბებული არჩევნები ჩაგვრა-მონობის, ბოროტებისა და დანაშაულებათა წყაროდ იქცევა ხოლმე. ამიტომაა ყველა მოწადინებული, რომ ჩატარდეს ისეთი სუფთა და გამჭვირვალე არჩევნები, რომლის შედეგებისადმი ეჭვი აღარავის ექნება.მაგრამ როცა შენი ხმის დათვლას სხვას ანდობ, როცა დათვლის პროცესი მთლიანადაა დაფარული შენგან, ამით ობიექტურობა ობიექტურად იკარგება, რა კვალიფიციური და პატიოსანიც არ უნდა იყოს კომისია. როცა ამომრჩეველს ამოსარჩევი უდგენს იმ წეს-კანონს, რითაც თვითონ უნდა იქნას არჩეული,ყოველთვისაა შესაძლებელი, კომისიები და ექსპერტ-დამკვირვებლები ისე გაურიგდნენ და დამკვირვებელიც. რატომ იზღუდება არჩევანის დიაპაზონი მხოლოდ შემოთავაზებული კანდიდატებით? რატომ არ შეიძლება თავისუფალი არჩევნების ბიულეტენში იყოს თავისუფალი გრაფა არარეგისტრირებული კანდიდატის თავისუფლად ასარჩევად? ამით საარჩევნო გარემოც გაუმჯობესდება და არჩევნებისადმი ნდობაც. ამომრჩევლის ნებაზე ორიენტირებული კანდიდატები ამის წინააღმდეგი არ უნდა იყვნენ. თუ მართლა სურთ კითხონ ხალხს რამე, მისცენ საშუალება ამომრჩეველს, რათა თვითონაც დაითვალონ და გააკონტროლონ თავისი ხმები. ეს სრულიად შესაძლებელია აღნიშნული სქემით.

არჩევნების ჩატარების ასეთი სქემა აერთიანებს ღია და ფარული კენჭისყრის უპირატესობებს. გამორიცხავს ისეთ ვითარებას, როცა ამომრჩევლისგან უკონტროლოდ ითვლება ხმები. იმისათვის, რომ ფიქცია არ იყოს და რაიმე ფასი და აზრი ჰქონდეს არჩევნებსა, დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაზე ლაპარაკს, თავისი ხმების დათვლის მოწმე ყველა თვითონ უნდა იყოს.



ეს ბევრი ქვეყნის საარჩევნო პრობლემაცაა და ამის გადაწყვეტას ემსახურება შემოთავაზებული სქემაც. ესაა გამჭვირვალობა ფარულობის დაცვით, როცა ერთის ხმა მეორისაგან დაფარული იქნება, მთლიანობაში კი ყველას ხმა ყველასაგან იქნება კონტროლირებადი დათვლის პროცესში. მისი გამოცდა სრულიად მარტივია მცირე მასშტაბებში. სქემა გამოსადეგია ნებისმიერი მიზნით გამართული არჩევნებისთვის (სახელისუფლებო, სასწავლო, სამეცნიერო, ბიზნესის, კულტურის, სპორტის, თვითმმართველობისა და საჯარო მოხელეთა, საკონკურსო, სარეფერენდუმო და ა.შ.ძ

მხოლოდ ამომრჩევლის ნებაა ობიექტური კრიტერიუმი, მის მიერ მიცემული ხმის გასაკონტროლებლად. იმისათვის, რათა ამომრჩევლის ხმა ვინმემ არ მიისაკუთროს და მართლა თავისი თავი გამოავლინოს ხალხმა არჩევნებში, აუცილებელია წარმოადგინოს კომისიამ დათვლის მთელი პროცესი ცხადი ცხრილების სახით, საჯაროდ. ყველას შეეძლოს მათი შემოწმება პარალელურად და ფარულად. ყავდეთ კომისიებში ვისაც ვინ უნდა, ოღონდ სავალდებულო იყოს შედეგების წარმოდგენა ისეთი სახით, რომ მისი შემოწმება ყველას თვითონ შეეძლოს. ამის საშუალებას ეს სქემა იძლევა. მაშინ იქნება არჩევნები სუფთაც, გამჭვირვალეც, ობიექტურიც, ლაკმუსის ტესტიც და თავისი ხმის დაცვაც ყველას თვითონ შეეძლება, საარჩევნო დავებიც მოგვარდება და არჩეულებიც იგრძნობენ პასუხისმგებლობის ტვირთს ხალხის წინაშე. სხვანაირად ხელისუფლების წყარო იქნება არა ხალხი, არამედ ფული და ძალმომრეობა, იქნება ისევ ეჭვები, უნდობლობა, გაუთავებელი დავა არჩევნების გაყალბებაზე.

ზემოთ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ პირებს გავაცნობ სქემის დაწვრილებით აღწერილობას.

ერთმანეთს და ისე დაითვალონ ხმები, როგორც თვითონ სურთ. ეს თავიდანვე გამორიცხავს შედეგების ობიექტურობას, ქმნის მიკერძოებისა და გაყალბების პირობებს. გამჭვირვალე არჩევნებში რატომ უნდა იყოს გაუმჭვირვალე საარჩევნო ბუღალტერია?

ამ ჩიხიდან გამოსასვლელად გთავაზობთ ხმის მიცემის ფარულად მონიშვნის წესს, როცა ხმის მიცემის ფაქტი გამოიხატება არა შემოხაზვით, არამედ პირადი საიდუმლო შიფრის დასმით სასურველი კანდიდატის გასწვრივ. ამით თითოეული ამომრჩევლის ხმა იქნება მონიშნული სხვათაგან ფარულად და თავისი პატრონისათვის ცნობილად. ეს საშუალებას იძლევა, ყველამ თავისი ხმის გზაკვალს მიადევნოს თვალი ხმების დათვლის მთელ ბუღალტერიაში საბოლოო შედეგებამდე. შედეგების ცხრილებში ცხადად გამოჩნდება ყველანაირი სიებიც, მათში ჩამატებული, გამოკლებული და ფიქტიური ამომრჩევლებიც, კარუსელებიც, ვისი ხმა სად წავიდა და რომელ დონეზე როგორ დაითვალა ისიც, თანაც ფარულობის დაცვით. ასეთნაირად მონიშნული ხმა არის სწორედ ის პაროლი, ის ფარული „ვიდეოკამერა“, რომლითაც თითოეული ამომრჩეველი ფარულად გახსნის მთელ საარჩევნო ბუღალტერიას და ჩაიხედავს მასში.იგივე მეთოდი გამოდგება აგრეთვე გამოკითხვათა სტატისტიკური შედეგების გაკონტროლებისა და სანდოობისათვისაც.

არჩევნებს იგებს ის, ვინც ითვლის ხმებს, დაითვალოს ხმები თვითონ ამომრჩეველმა და მოგებული დარჩება ხალხი, მოიგებს კომისიაც

**სოსო შაქარაშვილი**
**ქ. საგარეჯო.**

◎ სამართალი



***რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს ხელისუფლების თანამშრომლობაზე, „კოალიცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის“ საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოში ჩამოსვლის მიზნებსა და ამოცანებზე „ინტერპრესნიუსს“ ესაუბრება ამავე კოალიციის ევროპის კოორდინატორი ლუიზა მაშა.***

# „ჰააგის სასამართლოს პროკურორის საქართველოში ვიზიტი 2010 წლის ივნისისთვის არის დაგეგმილი“

**— ქალბატონო ლუიზა, რას ითვალისწინებს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით თქვენი ორგანიზაციის წინასწარი ანალიზი, ანუ ახლა რა მასალებს აანალიზებთ?**

— მინდა დავაზუსტო, რომ მე წარმოვადგენ „კოალიციას საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსთვის“ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს 2000-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას მსოფლიოს 150 ქვეყანაში. კოალიციის მიზანია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს სამართლიანობას, ეფექტურობასა და დამოუკიდებლობას.

თავად საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო არის მართლმსაჯულების საერთაშორისო ორგანო, რომელიც იურისდიქციას ახორციელებს ინდივიდებზე, ვისაც ჩადენილი აქვს გენოციდი, ომისა და/ან კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულები.

ამჟამად სასამართლო აწარმოებს 2008 წლის აგვისტოს ომის წინასწარ ანალიზს, რაც ნიშნავს, რომ სასამართლო აანალიზებს და ამოწმებს სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციასა და მასალებს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა საკმარისი სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი გამოძიების დასაწყებად.

აქვე მინდა დავაზუსტო, რომ ჩვენ, როგორც საერთაშორისო კოალიცია, არ ვიკავებთ პოზიციას კონკრეტულ საქმეებთან მიმართებაში იმაზე, უნდა დაიწყოს თუ არა სასამართლომ გამოძიება.

კოალიციის თბილისში ვიზიტი მიზნად ისახავდა შეხვედრებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასთან, საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან, როგორებიც არის ევროკავშირი და ევროსაბჭო, ასევე – ქვეყნის ხელისუფლებასთან. შეხვედრების თემატიკა, ძირითადად, იყო აგვისტოს ომის დროს ჩადენილი ადამიანის უფლებათა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების დარღვევებთან მიმართებაში სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს, ისევე როგორც სამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა მექანიზმების გამოყენების საკითხის განხილვა. შევხვდი რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და მედიას სასამართლოს, მისი ფუნქციისა და მანდატის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს საზოგადოებისთვის ადეკვატური და სწორი ინფორმაციის მიწოდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შესახებ.

**— 2008 წლის ომთან დაკავშირებით თანამშრომლობს თუ არა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან საქართველოს ხელისუფლება და რა ფორმით ხორციელდება თანამშრომლობა?**

— საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და მინისტრის პირველი მოადგილის ჰააგაში ვიზიტის შემდეგ სასამართლომ ოფიციალურად გააკეთა განცხადება, რომ სასამართლოს პროკურორი მიესალმება მიმდინარე თანამშრომლობას საქართველოს მთავრობის მხრიდან. კოალიციაც, ასევე, მიესალმება ამ თანამშრომლობას; გვინდა, ხაზი გავუსვათ საქართველოს მიერ სასამართლოსთვის საჭირო მხარდაჭერის გამოხატვის მნიშვნელობას მომავალშიც, კონკრეტულად კი სასამართლოს პროკურორის ვიზიტის დროს საქართველოში, რომელიც 2010 წლის ივნისისთვის არის დაგეგმილი.

**— თქვენი შეფასებით, რამდენად სრულყოფილად გამოიძია ქართულმა მხარემ 2008 წლის ომთან დაკავშირებული საქმე?**

— გამოძიება ეროვნულ დონეზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს, ამიტომ სრულყოფილი შეფასების გაკეთება ამ ეტაპზე რთულია. ომის დანაშაულებისა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების გამოძიება კომპლექსური საკითხია და მოითხოვს სპეციფიკურ ცოდნას, გამოცდილებას, მათ შორის – სამხილების შეგროვების, მოწმეთა ინტერვიურებისა და საქმის მასალების მომზადებაში. მეორე მხრივ, იმის მიუხედავად, რომ სამართლის აღსრულებას სჭირდება დრო, მსხვერპლს არ უნდა მოუხდეს დიდხანს ლოდინი. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ მსხვერპლი და ომის დროს ჩადენილი საშინელებების შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული ადამიანები ინფორმირებული იყვნენ ეროვნულ დონეზე მიმდინარე ქმედებების შესახებ, რომლებიც მიმართულია მძიმე დანაშაულების ჩამდენთა დასჯისკენ. მართლმსაჯულება ხილვადი უნდა იყოს მსხვერპლთათვის და მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავიანთი შეხედულებები რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე წარუდგინონ გამოძიებას.

**— შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ომთან დაკავშირებული საქმის გამოძიების დაწყება შეუძლია?**

— დიახ. სასამართლოს აქვს იურისდიქცია ომის დანაშაულებზე და/ან დანაშაულებზე კაცობრიობის წინააღმდეგ, რომლებიც შესაძლებელია, ჩადენილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე აგვისტოს ომის დროს.

იხ. 6 გვ.

◎ წერილი რედაქციას

# სასიამოვნო იქნება, თუ ეს წიგნი ქართულ ენაზე გამოვა

პატივცემულო რედაქციავ, პატივცემულო რედაქტორო, უპირველესად მინდა, დიდი მადლობა გადაგიხადოთ იმ დიდი მუშაობისათვის, რასაც თქვენ ეწევით ჩვენი ხალხის, ჩვენი საზოგადოების სწორი ორიენტირებისთვის ქვეყნისათვის დღევანდელ საკმაოდ დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. მიუხედავად თქვენდამი ასეთი მადლიერებისა, ამ წერილის გამოგზავნა უშუალოდ ერთმა ფაქტმა, ერთმა გარემოებამ მიკარნახა.

თქვენ ამ ორი თვის წინათ დაიწყეთ რუსეთში გამოცემული წიგნის „1937 წლის გამოცანის ამოხსნა – „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა? წიგნის ავტორია ისტორიკოსი ალექსანდრე ელისეევი.

მოგეხსენებათ, ი. ბ. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე არა ერთი წიგნია გამოსული მოსკოვსა და პეტერბურგში. მათში, პირდაპირ რომ ვთქვათ, წინა პლანზე წამოწეულია ვითარების ის შეფასება, რაც მიზნად ისახავდა ე. წ. „პიროვნების კულტის“, ანუ ი. ბ. სტალინის დისკრედიტაციას.

ავტორის ალექსანდრ ელისეევის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შესძლო ობიექტურად, საქმის ცოდნით, კონკრეტული დოკუმენტების ღრმა გაანალიზება და მათი სიმართლის სამზეოზე თამამად გამოტანა.

ავტორი საგნობრივად ასაბუთებს ფაშისტურ გერმანიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გაჩაღების წინ ქვეყანაში ანტისახელმწიფოებრივი კადრების წმენდის აუცილებლობას, რამაც თავისებურად განაპირობა გამარჯვებაც და შემდგომი წარმატებებიც.

წიგნის ავტორი არც ი. ბ. სტალინის ცალკეულ შეცდომებზე ხუჭავს თვალებს, იგი პრინციპულ შეფასებებს აძლევს მის გადაცდომებს, არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებებს.

ჩემთვის, როგორც ყოფილი კომუნისტის, პარტიული მუშაკის, უბრალოდ რიგითი მოქალაქისათვის, უაღრესად სასიამოვნო იყო ამ ნაწარმოების გაცნობა. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას მთელ რედაქციას, რასაკვირველია, მის სანიმუშოდ მთარგმნელს, ცნობილ ჟურნალისტს ბატონ ზურაბ ლომიძეს.

რასაკვირველია, სასიამოვნო იქნება, თუ ეს წიგნი ქართულ ენაზე გამოვა. აუცილებლობის შემთხვევაში მეც, ჩემი კოლექტივის სახელით, შევეცდები ფინანსურად ხელი შევუწყო ამ საინტერესო წიგნის ქართულ ენაზე დაბადებას.

პატივისცემით

**ამირან მექვაბიშვილი,**
*ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი*

განსჯა

# ელგუჯა მაკარაძე: „ვარშალომიძე თავს სუსტ ლიდერად თვლის და აბაშიძის სიძლიერისადმი ნოსტალგიის მქონე აჭარლების გრძნობებზე თამაშს ცდილობს“

***აჭარის მთავრობის მეთაური ლევან ვარშალომიძე ტრადიციას არ არღვევს და წინასაარჩევნოდ ცენტრალურ ხელისუფლებას აკრიტიკებს. ცენტრის მორიგი კრიტიკით იგი რამდენიმე დღის წინ გამოვიდა და აჭარისთვის დამატებითი უფლებამოსილებების მინიჭება მოითხოვა. ასევე ტრადიციულად, ცენტრმა მისი მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა, ყოველ შემთხვევაში, ამას დაჰპირდა. საინტერესოა, რომ ვარშალომიძის მოთხოვნების 100 პროცენტით დაკმაყოფილების გადაწყვეტილება სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე შესაშურად სწრაფად, თანაც პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის დავით ტყეშელაშვილის დაუსწრებლად იქნა მიღებული. ამ გარემოებებისა და იმის გათვალისწინებით, რომ ვარშალომიძეს ცენტრის უყურადღებობა თითქმის ყოველი არჩევნების წინ აწუხებს, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ეს ხელისუფლების წინასაარჩევნო პიარად შეაფასა და აღნიშნა, რომ ვარშალომიძის „გააქტიურებით“ ხელისუფლებას ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიის სურათის წარმოჩენა სურს, ნაწილმა კი აჭარის ლიდერს ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის თამაშის თამაშში დასდო ბრალი.***

***რა მოთხოვნები ჰქონდა რეალურად ვარშალომიძეს? იყო თუ არა რეალურად საჭირო აჭარისთვის დამატებითი უფლებამოსილებები? თამაშობს თუ არა ვარშალომიძე „რადიკალებად“ წოდებული ოპოზიციის თამაშს? — ამ და სხვა კითხვებით „პირველმა“ შუახევის მაჟორიტარ დეპუტატს, პარლამენტარ ელგუჯა მაკარაძეს მიმართა.***

**— ბატონო ელგუჯა, აჭარის მეთაური ლევან ვარშალომიძე რამდენიმე დღის წინ თბილისში იმყოფებოდა და ცენტრალურ ხელისუფლებას აჭარისთვის დამატებითი უფლებამოსილებების მინიჭება მოსთხოვა. თქვენი მონაცემებით, კონკრეტულად რას ითხოვდა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი?**

— მისი მოთხოვნების სრული ჩამონათვალი არ ვიცი, თუმცა რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, იყო რიგი ტექნიკური ხასიათის საკითხები, მათ შორის — სერტიფიკატების ადგილზე გაცემისა და სკოლების დირექტორების ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დანიშვნის შესახებ. სხვა საკითხების რა მოგახსენოთ, მაგრამ ცხადია, რომ ამგვარი პრობლემების გადასაწყვეტად ხმაურიანი განცხადებები და დედაქალაქში ჩასვლა ზედმეტია, მსგავსი პრობლემები შეიძლება, სატელეფონო საუბრითაც გადაწყდეს.

**— ვარშალომიძის მხრიდან პრემიერ გილაურის მიმართ გაჟღერებული კრიტიკული განცხადებების შემდეგ საზოგადოების ნაწილში გაჩნდა ეჭვი, რომ ის, როგორც ყოფილი პრემიერის ზურაბ ნოღაიდელის ბიზნეს-პარტნიორი, სწორედ ნოღაიდელის თამაშს თამაშობს. თქვენ თუ იზიარებთ ამ მოსაზრებას?**



— პირადად მე ამას გამოვრიცხავ. პირიქით, რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ნოღაიდელსა და ვარშალომიძეს შორის კარგი ურთიერთობები ნოღაიდელის პრემიერობის დროსაც კი არ იყო. არც იმ ვერსიას ვიზიარებ, რომლის თანახმად, ვარშალომიძის თბილისში ვიზიტი და გილაურის კრიტიკა წინასაარჩევნო პიარი იყო. ჩემი აზრით, მსგავსი წინასაარჩევნო იმიტაციები შეიძლება, თავად ცენტრალურ ხელისუფლებაში მოეწყოს, მაგრამ არა ცენტრალურსა და რეგიონულს შორის.

**— გაზეთ „ბათუმელებთან“ ინტერვიუში აცხადებთ, რომ ვარშალომიძის ეს ნაბიჯი აჭარის მოსახლეობაზე გათვლილი პიარი იყო მისი იმ ნაწილის გრძნობებზე სამოქმედოდ, რომელსაც ძლიერი რეგიონული ლიდერის ხილვა სურს.. თვლით, რომ ვარშალომიძე სუსტი ლიდერია?**

— თავად ვარშალომიძე თვლის ასე. ის თვლის, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს არ აკმაყოფილებს სტატუსი, რომელიც მას გააჩნია. ვფიქრობ, ვარშალომიძის ეს პიარ-აქცია მოსახლეობის იმ სეგმენტზე იყო გათვლილი, რომელსაც ძლიერი ლიდერის მოთხოვნილება აქვს, თუმცა ამის გაკეთება მსგავსი ფორმით გაუმართლებლად მიმაჩნია. გავიხსენოთ, რა ტიპის ლიდერი მართავდა აჭარას ვარშალომიძემდე... არავინ იცის, რაოდენ დიდია მოსახლეობის ეს სეგმენტი. პირადად მე ვფიქრობ, რომ ის საკმაოდ მცირეა და რეგიონში ამინდს ვერ ქმნის.

**— თქვენ რას ელოდით თბილისში გამართული შეხვედრიდან?**

— შეხვედრას მთელი გულისყურით ველოდი. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ადგილზე არც პრემიერი იყო და არც რეგიონული განვითარების მინისტრი, აჭარის მთავრობის წევრები კი ერთ რიგზე იყვნენ ჩამწკრივებული, რაც არ მომეწონა. კონკრეტულად რა შედეგს გამოიღებს ეს შეხვედრა, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ უშუალო ურთიერთობებით გაცილებით მნიშვნელოვანი პრობლემები წყდება და ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ამბავი ქარიშხალი იყო ჭიქა წყალში. თანაც, ამ ყველაფერს პროვოცირება „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გაუწიეს და ეს ერთგვარი პასუხიც იყო მათთვის.

**— ამავე ინტერვიუში თქვენ „საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მიძინებული კუთხური ვნებებისა თუ მისწრაფებების გაღვივების დაუშვებლობაზე“ საუბრობთ. რას გულისხმობდით, ბატონო ელგუჯა?**

— ჩვენმა რეგიონმა უმძიმესი წლები გადაიტანა. ბუნებრივია, განსაკუთრებული ისტერიული ხვედრი ჰქონდა, განსაკუთრებით მძიმე 15 წელი იყო აჭარაში და კიდევ რჩება საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელსაც კუთხური ვნებები გააჩნია.

**— რუსეთ-საქართველოს მძიმე ურთიერთობებისა და თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, არსებობს თუ არა საფრთხე იმისა, რომ რუსეთის მხრიდან მორიგი შესაძლო პროვოკაციის შემთხვევაში აჭარაში არასასურველი პროცესები განვითარდეს?**

— აჭარის საზოგადოების და მოსახლეობის დიდი იმედი მაქვს! მათ მაღალი პასუხისმგებლობა გამოავლინეს, როცა საჭირო იყო, ამიტომ ვთვლი, რომ ვითარების სტაბილურობის გარანტია გვაქვს, საფრთხის რეალური საფუძველი კი — არა.

**ლევან სულაშვილი**

სამართალი

# „ჰააგის სასამართლოს პროკურორის საქართველოში ვიზიტი 2010 წლის ივნისისთვის არის დაგეგმილი“

**(მეხუთე გვერდიდან)** წინასწარი ანალიზი, რომელიც მიმდინარეობს, სწორედ იმას ადასტურებს, რომ სასამართლოს აქვს იურისდიქცია. თუმცა, ზოგადად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ფუნქციონირების სპეციფიკა ის არის, რომ მხოლოდ მაშინ დაიწყებს საქმის გამოძიებას, თუ თავად სახელმწიფო არ გაასამართლებს დამნაშავეებს. შესაბამისად, თავისი წინასწარი ანალიზისას სასამართლოს პროკურორის ოფისი, ასევე, აწარმოებს საქართველოში ეროვნულ დონეზე მიმდინარე გამოძიების მონიტორინგს.

**— რამდენად სავარაუდოა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ თავად დაიწყოს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული საქმის გამოძიება? თუ ამგვარი ალბათობა რეალურია, ვინ მიმართავს სასამართლოს საქმის აღძვრის წინადადებით — რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფო, გაეროს უშიშროების საბჭო თუ სასამართლოს პროკურორი?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულების ჩადენის დამადასტურებელი რა სახის და რაოდენობის მასალები ექნება ხელთ სასამართლოს პროკურორს და თუ ჩადენილ დანაშაულებს მისი ოფისი მიიჩნევს შესაბამისი სიმძიმის მქონედ, რათა დაიწყოს გამოძიება.

არსებობს სამი გზა, რომ სასამართლომ დაიწყოს თავისი იურისდიქციის განხორციელება:

საქართველო არის სასამართლოს წევრი სახელმწიფო 2003 წლიდან, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია, თავად გამოამჟღავნოს ინიციატივა და მიმართოს პროკურორს გამოძიების დაწყების წინადადებით. საქართველოს ხელისუფლებას ჯერ ეს არ გაუკეთებია; პროკურორს შეუძლია, თავისი ინიციატივით დაიწყოს გამოძიება; გაეროს უშიშროების საბჭოს შეუძლია, მიიღოს რეზოლუცია გაეროს ქარტიის მე-7 თავის თანახმად და გადასცეს საქმე განსახილველად სასამართლოს. ამ სცენარის განვითარების შანსი 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით ყველაზე ნაკლებსავარაუდოა.

**— იმის გამო, რომ რუსეთი სისხლის სამართლის სასამართლოს იურისდიქციას არ აღიარებს, რა აზრი აქვს 2008 წლის ომთან დაკავშირებული საქმის აღძვრას?**

— რუსეთი არ არის სასამართლოს წევრი სახელმწიფო, თუმცა სასამართლოს აქვს იურისდიქცია დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია ან რომელთა ჩადენის ბრძანება გაცემულია რუსების მხრიდან საქართველოს ტერიტორიაზე (რადგან საქართველო არის სასამართლოს წევრი სახელმწიფო). ეს არის ტერიტორიული იურისდიქციის პრინციპი. თუკი პროკურორი გადაწყვეტს, დაიწყოს გამოძიება, მაშინ იგი გამოიკვლევს შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე ნებისმიერი მხარის, მათ შორის რუსეთის მიერ ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ჩადენის შესაძლო ფაქტებს.

**კობა ბენდელიანი**

***ცნობისთვის:*** *სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო 2002 წელს შეიქმნა. იგი პირველი დამოუკიდებელი, მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანოა, რომელიც იძიებს გენოციდს, ომის დანაშაულს, კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, აგრესიის ფაქტებს და ამ დანაშაულისთვის კონკრეტულ ინდივიდებს ასამართლებს.*

*სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო რომის სტატუტის საფუძველზე შეიქმნა. დღეისთვის რომის სტატუტის რატიფიციაჰყო 110-მა სახელმწიფომ, მათ შორის საქართველომ (2003 წელს), რითაც ამ ქვეყნებმა აღნიშნული სასამართლოს იურისდიქცია აღიარეს. ეს ქვეყნები მოიცავს მთელ სამხრეთ ამერიკას, ევროპის სახელმწიფოების უმრავლესობასა და, დაახლოებით, აფრიკის კონტინენტის ნახევარს, ასევე — აზიის სახელმწიფოს.*

*სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წინამორბედი ტრიბუნალებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. იგი ორიენტირებულია არ მხოლოდ დამნაშავეთა გასამართლებაზე, არამედ მსხვერპლის უფლებების აღდგენაზე, რაც, სხვა ღონისძიებებთან ერთად, მიღებული ზარალის მატერიალურ ანაზღაურებასაც გულისხმობს.*

*ამჟამად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო განიხილავს ომისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებს ხუთ ქვეყანაში: კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, უგანდაში, სუდანსა და კენიაში.*

*სასამართლოს პროკურორის ოფისი რამდენიმე ქვეყანაში აწარმოებს წინასწარ ანალიზს ისეთ ფაქტებზე, რომლებზეც შესაძლოა, დაიწყოს გამოძიება. ეს ქვეყნებია: ავღანეთი, კოლუმბია, პალესტინა, კოტ დიუარი, გვინეა და საქართველო (რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით).*

*სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება შემდეგ დანაშაულებზე:*

*1. გენოციდი; 2 დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ; 3. ომის დანაშაული; 4. აგრესიის დანაშაული.*

*თითოეული დანაშაულის განმარტება, გარდა აგრესიის დანაშაულისა, მოცემულია რომის სტატუტში. აგრესიის დანაშაულის განმარტებაზე სახელმწიფოები ჯერ არ შეთანხმებულან.*

*იურისდიქცია დროში — სასამართლო იძიებს და ასამართლებს დანაშაულებს, რომლებიც ჩადენილია 2002 წლის 1 ივლისს ან ამ თარიღის შემდეგ. 1 ივლისს რომის სტატუტი ოფიციალურად შევიდა ძალაში. იმ სახელმწიფოებთან მიმართებაში კი, რომლებიც 2002 წლის 1 ივლისის შემდეგ გახდნენ სტატუტის ხელმომწერები, სასამართლოს იურისდიქციის განხორციელება შეუძლია სტატუტის ამ სახელმწიფოს მიმართ ძალაში შესვლის შემდეგ მომხდარ დანაშაულზე.*

*პროკურორს საქმის აღძვრის წინადადება შეუძლია მიაწოდოს რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოს; გაეროს უშიშროების საბჭოს; პროკურორს საკუთარი ინიციატივით შეუძლია, დაიწყოს სიტუაციის შესწავლა მისთვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.*

*სასამართლოს არ შეუძლია, მიიღოს საქმე განსახილველად თუ :ეროვნული სასამართლო იძიებს საქმეს იმ შემთხვევებისა, როცა ეროვნული სასამართლო უუნაროა ან არ აქვს სურვილი, სრულყოფილად გამოიძიოს საქმე; ეროვნულმა სასამართლომ გამოიძია საქმე, მაგრამ არ აღძრა სისხლის სამართლებრივი დევნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შიდასახელმწიფოებრივი ინსტანცია უუნაროა ან არ სურს, სათანადოდ წარმართოს გამოძიება ან სისხლის სამართლებრივი დევნა; ეროვნულმა სასამართლომ უკვე გაასამართლა პირი; საქმე არ არის ისეთი მნიშვნელობის, რომ მასზე გამოძიება დაიწყოს.*

*„ინტერპრესნიუსი“*

ვაი ჩვენს პატრონს!

**_ჯიბის ქურდი. კარგა ხანია ამის თაობაზე აღარაფერი მსმენია, ეს სიტყვები თითქმის მთლიანად ამოვარდა ცხოვრების ლექსიკონიდან (რატომ? ამის ახსნით თავს არ შეგაწყენთ), მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჯიბეს საფრთხე აღარ ემუქრება და ხალხს თავის დაარხეინების პერსპექტივა გაუჩნდა. მე თუ მკითხავთ, პირიქით მოხდა, ჯიბის ქურდის ვიწრო სპეციალობამ საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან სახელისუფლებო და კომერციულ სტრუქტურებში გადაინაცვლა და ადამიანთა ძარცვა-გატყავების შესაძლებლობათა არეალი განუზომლად გაზარდა. ასე რომ, ახლა სადაც არ უნდა ვიყოთ, სახელმწიფო დაწესებულებაში, საგადასახადო ინსპექციაში, ბანკში, აფთიაქში, ბაზარსა თუ სუპერმარკეტში, ძალზე უნდა ვიფრთხილოთ, რათა ჯიბეში ვინმემ ხელი არ ჩაგვიყოს და ფული არ ამოგვაცალოს._**

# თანამედროვე ჯიბის ქურდები



## დაგაზღვევთ, ოღონდ სიკვდილის გარანტიით

არავინ იფიქროს, ამას რაიმე „ახლის აღმოჩენის“ პრეტენზია, გნებავთ, ამბიცია მალაპარაკებდეს. ხელისუფლება, მაგალითად, მეწარმეებს ბიუჯეტის შევსების მოტივით წლების მანძილზე ურცხვად რომ ძარცვავს, ამას მთელი ქვეყანა თვალმოუცილებლად უყურებს, პრესაშიც ერთი გნიასია ატეხილი, მაგრამ რა, იმ სამთავრობო კაბინეტებში ვინმეს სირცხვილით ლოყები აეფაკლა თუ ნამუსის ქუდი აეწვა? დღემდე იმათგან არც იმისთანა ჩინოვნიკი დასიზმრებია ვინმეს (ბენდუქიძის გამოკლებით, რა თქმა უნდაძ, ეფიქროს, მუცელი ნამეტანი მომილორდაო და ქამრის შემოჭერა განეზრახოს.

შემოჭერაზე რა მოგახსენოთ, აი ქამრის გაგანიერებაზე კი, მთავრობის წახედულობით, უკვე ბევრმა დაიწყო ზრუნვა. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ საქმეში შიგადაშიგ ისეთი ფრთხილი და მოკრძალებული ზნეობის სტრუქტურებიც კი ჩაერთნენ, როგორიც კომერციული ბანკებია. ამას, რა თქმა უნდა, ყველას მისამართით ვერ ვიტყვით, მაგრამ „სახალხო ბანკმა“ (ახლა უკვე სახელშეცვლილმა „ლიბერთი ბანკმა“ძ ამ მხრივ თავის „გაბედული სიტყვა“ უკვე თქვა, როცა „ინიციატივა გამოიჩინა“ და 2009 წლიდან მოყოლებული 448 268 მსესხებლისთვის 108,2 მილიონი ლარის სესხის გაცემის შესახებ განაცხადა.

მოდით დავაკონკრეტოთ, რას ნიშნავს ეს „ინიციატივა“ და ვინ რჩება მისი რეალიზაციით მოგებული – პენსიონერები თუ თავად ინიციატორი „ლიბერთი ბანკი“? ამის ერთბაშად, ჰაიჰარად თქმა ძნელია. ერთი შეხედვით, ბანკის თავკაცობას (გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძეძ ვერაფრით დაემდურები, პირიქით, მადლობასაც ეტყვი იმისთვის, რომ პენსიონერები, რომლებსაც ხელისუფლებისგან მიცემული 85 ლარი არაფერში არ ჰყოფნით და პრაქტიკულად შიმშილისთვის არიან განწირულნი, შეიბრალა, სესხის აღების საშუალება მისცა და სიკვდილს გადაარჩინა. მაგრამ თუ ვიკითხავთ ამ სიკეთისთვის იმავე მოშიმშილე პენსიონერებს ბანკი რა ოდენობის თანხებს სცინცლავს, შესაძლოა ამავე ბანკის ხელმძღვანელთა ზნეობრივ ოდენობაზეც შეგვეპაროს ეჭვი.

რატომ? იმიტომ, ბატონებო, რომ **ბანკს საპენსიო სესხზე უპრეცედენტოდ ულვთო საპროცენტო განაკვეთი აქვს დაწესებული. ბანკის მიერ შეთავაზებული პირობით, იმ შემთხვევაში თუ პენსიონერი 5 თვის პენსიას წინასწარ აიღებს, თამასუქად ერთი თვის საპენსიო თანხა თავად ბანკს უნდა უფეშქაშოს. ამ პირობით, სესხის საპროცენტო განაკვეთი წელიწადში, რაც უნდა საკვირველი იყოს, 36 პროცენტის ტოლფარდია(!). თუ სინდისის გრძნობა საერთოდ გაგაჩნია, განა შეიძლება სოციალურად გაჭირვებულ პენსიონერებს, რომელთა ყოველთვიური პენსია საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს, სესხზე ამხელა პროცენტი დაუწესო?**

თუმცა რა სინდისზე შეიძლება ლაპარაკი (ბიზნესი და სინდისი ცოტა არ იყოს, შეუთავსებელი ცნებებიაძ, თუკი „ლიბერთი ბანკის“ პორტფელი შემოსავლებით იზრდება? **სწორედ ამ პორტფელმა, ანუ ფიზიკური პირებიდან მიღებულმა საკრედიტო შემოსავლებმა 2010 წლის თებერვლის ბოლოს 62,8 მილიონი ლარი შეადგინა და 2009 წლის სექტემბრიდან მოყოლებული მთელი 35 პროცენტით გაიზარდა(!).**

ღირს კი ასეთი სარფიანი სარგებლის მიღების შემდეგ რაღაც სინდისზე ლაპარაკი, თანაც მაშინ, როცა **ქვეყანაში ოფიციალური მონაცემებით, მოსახლეობის 25 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა და 800 ათასი პენსიონერის მდგომარეობა უმძიმესია? არ ღირს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველოში ასეთ ადამიანთა გაჭირვების ხარჯზე ფულის კეთება, ბევრისთვის ჩვეულებრივ ამბად იქცა.**

ვიდრე „ლიბერთი ბანკის“ საქციელიდან მიღებული შთაბეჭდილება არ გაგციებიათ, აქვე მეორე შთამბეჭდავი ფაქტიც მინდა შემოგთავაზოთ. ეს უკვე სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაის“ ეხება, რომელსაც ერთმა ჩემმა მეგობარმა პენსიონერმა (გვარს შეგნებულად არ ვასახელებძ სამოგზაურო დაზღვევის საკითხზე მიაკითხა.

– შეიძლება, თვითმფრინავით მგზავრობისას, ჩემ ასაკში კაცი დაეზღვიოს? – ჰკითხა პენსიონერმა „ალდაგი ბისიაის“ ოფისში დამხვდურ ქალბატონს.

– რამდენი წლის ბრძანდებით, ჩემო ბატონო?

– მალე ოთხმოცს მივუკაკუნებ.

– რატომაც არა, დიდი სიამოვნებით დაგაზღვევთ, ოღონდ უნდა მითხრათ, უცხოეთში რამდენი დღით მიემგზავრებით?

– სულ ერთი კვირით, ქალბატონო.

– ბევრის არა, რაღაც 14 ლარის გადახდა მოგიწევთ – ანუგეშა დამზღვევმა, მერე სამოგზაურო დაზღვევის პოლისი შეუვსო, ხელი მოაწერინა და გააფრთხილა: შინ რომ მიხვალთ, ჩემო ბატონო, აქ ჩამოთვლილ პირობებს გულდასმით გაეცანით და შეეცადეთ, მისი მოთხოვნები სრულად დაიცვათო.

მოხუცი გამხნევდა, როცა პოლისში ამოიკითხა, რომ დამზღვევის სახსრებით იფარება სასწრაფო სამედიცინო დახმარების, გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის, ასევე, გადაუდებელი ჰოსპიტალური, სტომატოლოგიური და ოფთალმოლოგიური მკურნალობის ხარჯები. ბერიკაცი ვარ, გაიფიქრა, რა ვიცი, სად რა გასაჭირი წამომეწევაო და დასახელებული სამედიცინო დახმარების იმედით გული გაიკეთა. თუმცა მალევე ფერფური წაუვიდა, როცა ამ ჩამონათვალის ბოლოს მიწერილ შენიშვნაში ამოიკითხა: **„იმ პირთათვის, რომელთა ასაკი დაზღვევის პერიოდის დასრულების მომენტში 70 წელი ან 70 წელზე მეტია, სამოგზაურო დაზღვევის პირობებით იფარება მხოლოდ დაზღვეულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ხარჯები“.**

– ეჰ, ყველა ჩემ მოტყუებას როგორ ცდილობს, – თქვა ხელის ჩაქნევით ბერიკაცმა, – იქ ბანკმა დამტყუა ფული პენსიის წინასწარ აღებაში, აქ დაზღვევამ გამაცუცურაკა, ფული იმიტომ გადავიხადე, რომ საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარება გაეწიათ, თორემ, ფეხები თუ გავფშიკე, დასამარხად ოთხი ფიცარი ყველგან გამოიძებნება...

**ჰო და ჰო, იმ ქალბატონს, ვიდრე მოხუც პენსიონერს დაზღვევის პოლისს შეუვსებდა, ხომ უნდა ეთქვა, რომ 70 წელს გადაცილებულებს სამედიცინო მომსახურების კი არა, სიკვდილის გარანტიით აზღვევენ? არა, საქართველოში დღესდღეობით მხოლოდ ერთი გარანტია ფუნქციონირებს – სახელმწიფო, სამედიცინო, სადაზღვევო, კომერციული საგადასახადო სტრუქტურები იმიტომ არსებობენ, რომ უჩუმრად (ზოგჯერ ცხადლივ, რეკეტითაც) წამოგეპარონ, ჯიბეში ხელი ჩაგიყონ და უკანასკნელი გროშები ამოგაცალონ.**

**ოთარ ხუციშვილი**

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

# ...თუმცა უმჯობესია, ჯანმრთელად იყოთ

## როგორ „გავააქტიუროთ“ სამედიცინო დაზღვევის პოლისი?

**_პატივცემულო რედაქცია, ახლახან სამსახურმა თანამშრომლებს კარგი საჩუქარი გაგვიკეთა – გადმოგვცა სადაზღვევო კომპანია „ალფას“ მიერ წლინახევრის ვადით გაცემული სამედიცინო დაზღვევის პოლისი. თუ ძალიან არ შეგაწუხებთ, იქნებ დაგვეხმაროთ იმის გარკვევაში, რა იგულისხმება მის ცალკეულ პუნქტებში და როგორ მოვიქცეთ, თუ რაიმე გაუგებრობა შეიქმნება._**

**_მიხეილ ძიძიგური._**
**_თბილისი_**

ბატონო მიხეილ, შევეცდებით, თავად სადაზღვევო კომპანია „ალფას“ მეშვეობით დაგეხმაროთ თქვენთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში, რაც მარტო თქვენ კი არა, ჩვენს რამდენიმე სხვა მკითხველსაც სურს. აქვე გულითადი მადლობა გვსურს მოვახსენოთ საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითს კავშირს (თავმჯდომარე ჰამლეტ გეგიაძ, რომელმაც ანალოგიური პოლისებით ახლახან ჟურნალისტებიც გაგვახარა.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ სამედიცინო დაზღვევის პოლისის გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გასარკვევად დაზღვეულმა პირმა უნდა დარეკოს „ალფას“ ცხელი ხაზის სატელეფონო ნომერზე 640-640.

ჯანმრთელობის დაზღვევის პირველ პუნქტში აღნიშნულია, რომ დაზღვეულ პირს შეუძლია ისარგებლოს **„ამბულატორიული მომსახურებით, რომელიც არ იფარება პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით“.** ნაგულისხმებია ის ასაკობრივი ცენზით განსაზღვრული პროგრამა, რომლებიც მოიცავენ 6 წლამდე და 60 წელს გადაცილებული დაზღვეულთათვის.

1-2 პუნქტში მითითებული **„გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება“**, გულისხმობს იმ სასწრაფო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აუცილებლობის შემთხვევებს, როდესაც პაციენტი მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში უნდა გადაიყვანონ საავადმყოფოში. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს მაღალი არტერიული წნევა, მაღალი სიცხე, კოლიკები, ნაღვლის ბუშტის შეტევა და სხვა. ხოლო როცა ექიმის დასკვნით პაციენტის საავადმყოფოდან გაწერა შესაძლებელი იქნება, ბინაზე მკურნალობას იგი პოლისის პირობების შესაბამისად განაგრძობს.

1-3 და 1-4 პუნქტებში აღნიშნული მომსახურების მიღება, ვფიქრობთ, საგანგებო განმარტებას არ საჭიროებს, თუმცა დაზღვეულ პირს საინტერესო საკითხის გარკვევა ისევ „ალფას“ ცხელი ხაზის მეშვეობით ანდა იმ სამკურნალო დაწესებულებაში შეეძლება, რომელზედ მიმაგრებული იქნება. რაც შეეხება თავად ამ დაწესებულებათა დაკონკრეტებას, ამის თაობაზე დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ.

დაზუსტების მიზნით მაინც აღვნიშნავთ, რომ 1-4 პუნქტში მითითებულ **„...გეგმიურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებულ ლაბორატორიულ და ინსტრუმენტულ გამოკვლევებს“,** იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს, ვთქვათ, თიაქარის გეგმიური ოპერაცია სჭირდება, მან ისევ „ალფას“ ცხელ ხაზზე უნდა დარეკოს, სადაც მიუთითებენ იმ სამკურნალო დაწესებულებას, სადაც შესაბამისი საბუთების წარდგენის შემდგომ შეუვსებენ სათანადო სამედიცინო ფორმას და მაქსიმუმ ორი თვის ვადაში საჭირო ქირურგიულ ოპერაციას გაუკეთებენ, რომლის **„სადაზღვევო ლიმიტი ერთ დაზღვეულზე 12 ათასი ლარია“,** როგორც ეს დაზღვევის პირობების მე-2 პუნქტშია მითითებული.

განსაკუთრებულ განმარტებას, ვფიქრობთ, არ საჭიროებს 2.1 და 2.2 ქვეპუნქტები, ხოლო რაც შეეხება 2-3 ქვეპუნქტს, სადაც ლაპარაკია თანაგადასახადის ხარჯებზე, აქ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხი სადაზღვევო სამედიცინო დაწესებულებაში (პოლიკლინიკაშიძ უნდა გაირკვეს, ხოლო თუ იგი ამ დაწესებულების კომპეტენციას სცილდება, მაშინ დაზღვეული პირი კომპანიას ისევ ცხელ ხაზზე უნდა დაუკავშირდეს. თუმცა ერთი გარემოების დაზუსტება შეგვიძლია: თანაგადასახადის ხარჯის იმ 25 პროცენტს, რომელიც პაციენტმა გარკვეულ შემთხვევაში უნდა გადაიხადოს (დანარჩენი კი შესაბამისი სახელმწიფო პროგრამის სახსრებით იფარებაძ, სადაზღვევო კომპანია „ალფა“ დაფარავს.

ასევე, ჩვენი აზრით, დამატებით კომენტარს არ საჭიროებენ 2-4 ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი, ხოლო რაც შეეხება 4.1 პუნქტს, სადაც, კერძოდ, აღნიშნულია, **„მედიკამენტები რეცეპტის გარეშე 14-20 პროცენტი ულიმიტოდ“,** ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოდენობის შეღავათს დაზღვეულ პირს გაუწევენ „ავერსის“ სააფთიაქო ქსელში სამედიცინო დაზღვევის პოლისის წარდგენისას.

დაბოლოს იმ დაზღვევის იმ სამედიცინო დაწესებულების თაობაზე, რომელსაც დაზღვეულმა პირმა საჭიროების შემთხვევაში შეუძლია მიაკითხოს, მისი ადგილმდებარეობის დადგენა ასევე „ალფას“ ცხელი ხაზის მეშვეობითაა შესაძლებელი და არ არის აუცილებელი, რომ ის მაინცდამაინც უბნის პოლიკლინიკა იყოს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ამას კომპანიაში განუმარტავენ. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ დაწესებულებათა ნუსხა მომდევნო კვირის განმავლობაში საბოლოოდ დაზუსტდება, ამდენად, თუკი დაზღვეული პირი გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებას არ საჭიროებს, უმჯობესი იქნება, თქვენთვის საინტერესო ინფორმაციის მიღება მაისის დამდეგიდან დაიწყოთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რა ითქვა პეტერბურგის სასტუმრო „თალიონში“...

**პეტერბურგში მიმდინარეობდა საქართველოს ხალხების უცხოეთის დიასპორების მსოფლიო ფორუმი. მისი მონაწილეები აქტიურად განიხილავდნენ თავიანთი სამშობლოს მომავალს – ისინი მას ხედავდნენ სუვერენულ და რუსეთის მეგობარ ქვეყნად.**

ფორუმში მონაწილეობდა ქართულ დიასპორათა 200-ზე მეტი წარმომადგენელი მსოფლიოს 20 ქვეყნიდან და რუსეთის ფედერაციის 60-ზე მეტი რეგიონიდან. ღონისძიებამ სტარტი აიღო პეტერბურგის სასტუმრო „თალიონში“, რომელიც საქართველოს ხალხთა კონგრესის პრეზიდენტს, ცნობილ ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძეს ეკუთვნის. ამ მოქალაქემ ფართო აღიარება მოიპოვა, როდესაც სახელმწიფოს მიერ დაცულ ჩიჩერინის სახლის (იგივე „თალიონ-კლუბის“ძ სახურავზე მოაწყო ნამდვილი აუზი.

უნდა აღინიშნოს, რომ კრებამდე აუზიან სახლში ფორუმის მონაწილეები გააოცა საქართველოს ოფიციალურმა ხელისუფლებამ. კერძოდ, სახელმწიფო მინისტრმა დიასპორების საკითხში პაპუნა დავითაიამ განაცხადა, რომ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი „ქართული დიასპორების მეშვეობით აპირებს განახორციელოს თავისი ბოროტი ზრახვანი“. მისი სიტყვებით, რუსეთის სპეცსამსახურებს განზრახული აქვთ ყველაფერი წარმოაჩინონ ისე, თითქოს არის ძალები, რომლებიც უპირისპირდებიან საქართველოს ხელისუფლებას.

ფორუმს მხარი არ დაუჭირეს თავიანთი დასწრებით ზოგიერთი დიასპორის ქართველებმა. მაგალითად, უკრაინაში მცხოვრებ ქართველთა ასოციაცია გამოვიდა პეტერბურგში ამ ღონისძიების მოწყობის წინააღმდეგ. ასოციაციამ „იბერიელი“ გაავრცელა სპეციალური ცნობა, რომლითაც მოუწოდა ქართულ დიასპორებს, არ მიეღოთ მონაწილეობა ფორუმში. ასევე ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, პეტერბურგში თავიანთი დიასპორის წარმომადგენლები არ გააგზავნეს ქართველებმა თურქეთიდან და შვეიცარიიდან.

მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ჩაფრინდა დიდი დელეგაცია საქართველოდან – დაახლოებით 60 ოპოზიციური პოლიტიკოსისა და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. ვარაუდობდნენ, რომ ქართველი ოპოზიციონერები არა მხოლოდ მონაწილეობას მიიღებდნენ ფორუმში ჩრდილოეთ დედაქალაქში, არამედ მოსკოვში შეხვდებოდნენ რუსეთის ხელისუფლების, ოპოზიციისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს.

ამ დროს, მოულოდნელად, ქართველთა ფორუმს დიდი ყურადღება დაუთმეს რუსეთის ფედერალური ტელეარხების ჟურნალისტებმა. სხდომათა დარბაზში შენიშნეს აგრეთვე პეტერბურგის გუბერნატორის პრესსამსახურის თანამშრომელიც. საინტერესოა, რომ ინტერვიუში ალექსანდრე ებრალიძემ ჯერ ინტერვიუ მისცა პირველი არხისა და ტელეარხ „როსიას“ თანამშრომლებს, შემდეგ კი უკვე ქართულ ენაზე უპასუხა ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტის შეკითხვებს.

მისალმების სიტყვაში ალექსანდრე ებრალიძემ განაცხადა, რომ ფორუმის მთავარი მიზანია – ერთიანი სუვერენული საქართველო, რომელიც აღადგენს კეთილმეზობლურ ურთიერთობას რუსეთთან. ბიზნესმენმა აღიარა, რომ საზოგადოებრივი მოღვაწეობა მან დაიწყო მას შემდეგ, რაც 2008 წელს დაიწყო კონფლიქტი საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფორუმის საქმიანობა იქნება კანონიერი და მისი მონაწილეები არასოდეს გადალახავენ საქართველოს კონსტიტუციის ფარგლებს. კონგრესის წევრები იბრძოლებენ საქართველოში ხელისუფლების შეცვლისთვის, რისთვისაც გამოიყენებენ კანონიერ მეთოდებსა და წესებს, რომლებიც დააწესა სააკაშვილმა.

აღვნიშნავთ, რომ სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლისთვის კონგრესის წევრები არ დაიწყებენ ახალი პარტიის შექმნას. ებრალიძისა და მისი მომხრეების აზრით, ეს გამოიწვევდა ქვეყანაში ოპოზიციური ძალების კიდევ უფრო მეტ გათიშვას. ამავე დროს კონგრესი მონაწილეობას მიიღებს მომდევნო პრეზიდენტის არჩევნებში, ფსონს კი ჩავლენ იმ ოპოზიციურ პარტიაზე, რომლის პროგრამაც აღმოჩნდება ყველაზე მეტად გაწონასწორებული და შეესაბამება ქართული დიასპორის ინტერესებს.

ებრალიძის აზრით, მომავალში საქართველო უნდა გადაიქცეს აყვავებულ სუვერენულ სახელმწიფოდ, ევროსაბჭოს სრულუფლებიან წევრად. ამავე დროს უნდა მოწესრიგდეს ქართველების კონსტრუქციული, თანაბარი ურთიერთობა რუსეთთან, ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მაგრამ ეს პოზიტიური ცვლილებანი ოპოზიციის გეგმით, უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც თავის უფლებამოსილებას მოიხსნის ამჟამინდელი საქართველოს ხელმძღვანელობა. არავითარი კონტაქტი მასსა და საქართველოს ხალხთა საერთაშორისო კონგრესის წევრებს შორის არ იქნება – ეს ყველაფერი ილუზიაა, დარწმუნებულია ებრალიძე.

ფორუმზე გამოითქვა მთელი რიგი წინადადებანიც, რომლებმაც რეალური ასახვა უნდა ჰპოვონ უახლოეს მომავალში. კონგრესის წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება არჩევნებს მიაპყრეს. ამისთვის წამოაყენეს წინადადება – შეიქმნას არჩევნების მონიტორინგის საერთაშორისო ჯგუფი სხვადასხვა ქვეყანაში. ამ ჯგუფმა უნდა განახორციელოს მონიტორინგი როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყნებში არამყარი დემოკრატიით. ჯგუფის საქმიანობის დაფინანსებას განახორციელებენ კონგრესის წევრები. ამ დროს სტრუქტურას უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება ყველა საერთაშორისო ინსტიტუტისგან, რომლებიც აწარმოებენ საარჩევნო პროცესების კონტროლს.

ამას გარდა, უნდა შეიქმნას სახალხო დიპლომატიის კომისიები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხებთან მოსალაპარაკებლად. საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტის ვლადიმერ ხომერიკის აზრით, მომავალში ამ ქვეყნებს შეუძლიათ შევიდნენ საქართველოს შემადგენლობაში ნებაყოფლობით საფუძველზე.

მისი სიტყვებით, რუსეთი დაინტერესებულია „ერთმორწმუნეთა კეთილმეზობლობით“. ხომერიკმა აღნიშნა, რომ ქართული დიასპორის პოტენციალი ამჟამად მთელ მსოფლიოში უმოქმედოა. ამავე დროს ოპოზიციას საქართველოს შიგნით არ ჰყოფნის რესურსები იმისთვის, რომ ებრძოლოს სააკაშვილს. დიასპორის წევრები უნდა გაერთიანდნენ და დაეხმარონ ოპოზიციას – მოვიდეს ხელისუფლებაში კანონიერი გზით, აღნიშნავს ვლადიმერ ხომერიკი.

შეგახსენებთ, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა შარშან ებრალიძეს „კრემლის ფავორიტი“ უწოდეს. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რუსეთის ბიზნესმენმა 2009 წელს სოჭში გამართულ საქართველოს ხალხთა საერთაშორისო კონფერენციაზე განაცხადა, რომ მზად არის ჩაერთოს საქართველოს პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში. იმ კონფერენციაზე ებრალიძემ დააყენა წინადადება „შეიქმნას პლატფორმა საქართველოს პრეზიდენტის კანდიდატის დასასახელებლად“ და პარტია, რომელიც გამოხატავდა რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ინტერესებს და მონაწილეობას მიიღებდა არჩევნებში.

ალექსანდრე ებრალიძე არის სრულიად რუსეთის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „ალექსანდრე ნეველის“ დამფუძნებელი, საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი. ებრალიძე იყო ინიციატორი და მან დაასპონსორა სანქტ-პეტერბურგის ცენტრში ბაგრატიონის ძეგლის პროექტი.

ქართველთა კონგრესის ხელმძღვანელი მზად არის მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, ჩამოვიდეს საქართველოში და ხელი მიჰყოს პოლიტიკოსობას, გამოსცეს გაზეთი, გახსნას რადიოსადგური და ტელევიზია. მაგრამ საქართველოს ხელისუფლება უარს ეუბნება ბიზნესმენს მოქალაქეობის მინიჭებაზე. ებრალიძესთან დაახლოებული წრეების აზრით, უარს პოლიტიკური ხასიათი აქვს და დაკავშირებულია მის გადაწყვეტილებასთან – მიიღოს მონაწილეობა საქართველოში პრეზიდენტის არჩევნებში.

**ფილიპ მოსტოცკი**

РОСБАЛТ

2010 წლის 22 ივნისს, 12 საათზე ქ. თბილისში, სადგურ „ლილოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი №07/001ძ გაიმართება მწვავე ნატრიუმის და გოგირდმჟავას საწყობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია უზრუნველყოს რეგიონში განთავსებულ საწარმოთა მოთხოვნა მწვავე ნატრიუმზე და გოგირდმჟავაზე.

დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართებზე:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტში. თბილისი, გულუას ქ. №6;
- სადგურ „ლილოს“ მიმდებარე ტერიტორია (ნაკვ. №07/001ძ
- ქ. თბილისი, უზნაძის ქუჩა 78, ოთახი 207

საზოგადოების წარმომადგენლებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესახებ საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების გამოგზავნა შეუძლიათ მისამართზე:

ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი 1-17.

საკონტაქტო ტელ: 899 572945, 879020110

საკონტაქტო პირი: ჯამბულ ქობალია, გენადი უბირია

საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2010 წლის 20 ივნისის 12 საათამდე.

## სს „მინას“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება კომპანიის ოფისში 2010 წლის 25 მაისს 10 საათსა და 30 წუთზე, მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ქსანი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2009 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. 2009 წლის აუდიტორის ანგარიში;
3. 2010 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
4. სხვადასხვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2010 წლის 5 მაისი.

კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან სს ,,კავკასრეესტრთან“ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 74ა. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობის და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

# განცხადება

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე I ლოტად.**

I ლოტი: ქ. მცხეთაში მდებარე 4900.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: № 72.07.04.763) საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი.

აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10% - ს

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. № 73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

,,ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. № 33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№ 73. ტელ 8(27-32) 51-27-27; 899 22-65-33; 899 34-50-85.**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

## დედამიწის ზურგზე



**ისლანდიის ვულკანების აქტიურობამ შეიძლება შექმნას საფრთხე ახალი მსოფლიო წარღვნისთვის**

მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს არა უახლოეს პერიოდში, არამედ 2030-2070 წლებში. ზუსტი ციფრების დასახელებას მეცნიერები ვერ ბედავენ, მაგრამ იძლევიან რჩევას მოიფიქრონ ზღვისპირა ქალაქების მოსახლეობის ევაკუაციის გეგმებზე. მათ შორის არის ქალაქები – პეტერბურგი, კალინინგრადი, ნიუ-იორკი და რიო-დე-ჟანეირო.

* * *



**ირანმა სპარსეთის ყურეში წარმატებით გამოსცადა რაკეტების ხუთი ახალი სახეობა**

როგორც ირანის სამხედრო წყაროები იტყობინებიან, ყველა რაკეტა გაუშვეს ერთდროულად და მათ დააზიანეს შერჩეული მიზნები. ირანის რევოლუციის მცველთა კორპუსის სწავლების დროს გამოსცადეს რაკეტები „ნური“ (სინათლე) და „ნასრი“ (გამარჯვება). ამას გარდა, ირანის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოაქვეყნეს რაკეტა „საერეს“ (ჭექა-ქუხილი) გაშვების ფოტოსურათი.

* * *

**ლუკაშენკომ მედვედევს შეახსენა, რომ რუსეთი თავისი ბაზებისთვის ბელორუსიაში საფასურს არ იხდის**



„თუ რუსეთის პრეზიდენტმა დაივიწყა ბარანოვიჩისა და ვილეიკოს შესახებ, უნდა შევახსენოთ. თუ მას სურს იცოდეს, რამდენს გვიხდიან მათთვის, სევასტოპოლისგან განსხვავებით, – ეს ნულია. ნული რუბლი, ნული კაპიკი, ნული დოლარი“, – განაცხადა ბელორუსიის ლიდერმა.

* * *

**პუტინი ჩადის კიევში, რათა მხარი დაუჭიროს ხელშეკრულებას ფლოტთან დაკავშირებით და მოამზადოს იანუკოვიჩისა და მედვედევის ახალი შეხვედრა**

პუტინი შეხვდება აზაროვსა და იანუკოვიჩს. ოფიციალურად ვიზიტის მიზნების შესახებ არაფერს იტყობინებიან. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პუტინის ყოფნა რწმენას შემატებს უკრაინის დეპუტატებს, რომლებმაც უნდა მოახდინონ ფლოტთან და გაზთან დაკავშირებული ხელშეკრულების რატიფიკაცია. პუტინი ამზადებს პრეზიდენტების ახალ შეხვედრას – ქერჩის სრუტის საზღვართან დაკავშირებით.



◉ განსჯა

# ნიკოლოზ ცისკარიძე: „ნაცნობობა საჭირო არაა!“

**ბალეტის ვარსკვლავი მონარქიის შესახებ ხელოვნებაში, პატრიოტიზმსა და პასუხისმგებლობაზე**

***„დემოკრატია ხელოვნებაში არ შეიძლება. მხოლოდ აბსოლუტური მონარქია. მაგრამ გონივრული“, — მიაჩნია რუსეთის სახალხო არტისტს ნიკოლოზ ცისკარიძეს.***

***გაზეთის კორესპონდენტი შეხვდა დიდი თეატრის ბალეტის მეფეს და განიხილა მასთან ერთად ხელოვნებისა და ჩვენი ცხოვრების ყველაზე მტკივნეული პრობლემები.***

## „გავარღვიოთ“ კუზატურა

**— ამ დღეებში გრანდიოზული რემონტის შემდეგ ყველა დიდი თეატრის გახსნის მოლოდინშია. როგორ ფიქრობთ, ეს შეცვლის რამეს სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ცხოვრებაში?**

— პატარიდან დიდ სცენაზე გადასვლას ბევრის კარიერა შეეწირება. ზოგიერთი მსახიობი ვერ შეძლებს იქ ცეკვას — ენერგიით ვერ დაიპყრობენ უზარმაზარ სივრცეს, არ ეყოფა პიროვნების მასშტაბი. იქ ჰაერის ისეთი სისქეა და კუბატურა, რომ უნდა შეგეძლოს მათი გარღვევა. ბევრი სახელგანთქმული მსახიობიც კი დამარცხებულა. ბალეტში, ოპერაში, კლასიკურ მუსიკაში შეუძლებელია ნაცნობობას, „ბლატნობას“ ენდო. უნდა გამოხვიდე სცენაზე და აჩვენო შენი დონე. სამწუხაროდ, ბოლო ხანებში გაჩნდა ტენდენცია: შეიძლება დარეკო და სთხოვო ვინმეს შესახებ. მასობრივი ინფორმაციების საშუალებით ცოტა ხნით მაიმუნსაც შეგიძლია გააკეთებინო, რაც გინდა. მაგრამ... ამ ბოლო ხანებში ჩვენთან მაყურებელი შუა სპექტაკლის დროს დგება და მიდის.

**— თქვენი სპექტაკლებიდანაც მიდიოდნენ?**

— არა. მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო მე როდი ვმონაწილეობ სპექტაკლებში. მე მხოლოდ დიდის ნაწილი ვარ. ახლა ცეკვასთან დაკავშირებით დამოკიდებულება ძალიან შეიცვალა. ადრე დიდი თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელი მთავარი იყო მთელს საბჭოთა ბალეტში. ერთგვარი ეროვნული პოსტი. როდესაც საბჭოთა კავშირი არსებობდა, მოსკოვში იყო ერთი ქორეოგრაფიული სასწავლებელი. ახლა ხუთი თუ ექვსია. ისინი გასცემენ ისეთსავე დიპლომებს, როგორიც მე მაქვს. თანაც, ვისაც უნდა ჰკითხო, — ყველას წითელი დიპლომი აქვს. მხოლოდ ეს „წითურები“ მე ცოდნისთვის მივილე. როდესაც მათ შეეკითხები, „დაასახელეთ ჩაიკოვსკის სამი ბალეტი“, ვერ გისახელებენ. და არ არის კაცი, ვისაც შეუძლია მივიდეს ამ სასწავლებელში და თქვას: „თქვენ არ გაქვთ უფლება, რომ ასწავლოთ“.

**— როგორც ვხვდები, თქვენ მონარქიას უჭერთ მხარს ხელოვნებაში?**

— დემოკრატია საუცხოოა, როგორც სახელმწიფო წყობილება. მაგრამ ხელოვნებაში ის არ უნდა იყოს. აქ მხოლოდ აბსოლუტური მონარქიაა საჭირო. მაგრამ გონივრული. ის, ვინც სათავეში დგას, უნდა იყოს პროფესიონალიც და დიდი ავტორიტეტიც. და სტრატეგიც, რასაკვირველია. მაგრამ ჩვენთან სტრატეგია, სამწუხაროდ, სულაც არა ჩანს. დღეისათვის დიდ თეატრში, უკეთეს შემთხვევაში, არის ერთი კარგი შემადგენლობა, ჩვენ ვეწევით მის ექსპლუატაციას და ვახდენთ მის ტირაჟირებას. გული მტკივა, რომ სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრი ამჟამად მიდის გასტროლებზე მსოფლიოს დიდ თეატრებში შვებულების სეზონზე. მაგრამ ამ დროს ლონდონში არ არიან ლონდონელები, არიან მხოლოდ ტურისტები. ეს ამცირებს საგასტროლო ტურის მნიშვნელობას. წამოიჭრა უზარმაზარი პრობლემა. ისინი, ვინც პირველი კლასის დონეზე ცეკვავენ მეფისწულებს, — არიან ან ოცდაათი წლის, ან მეტის. 8 წლის წინათ მივდიოდი ხოლმე ჩვენს ხელმძღვანელობასთან: „ხალხო, გაიღვიძეთ! დიდ თეატრში დემოგრაფიული კრიზისია, მალე როლს ველარავის მივცემთ!“ პასუხად მეუბნებოდნენ, რომ მე ვარ არამზადა, სკანდალისტი და მინდა ყურადღების



მიპყრობა. პროფესიონალები ყველაფერს წინასწარ ხედავენ, ხოლო ვინც კაბინეტებში ზის, ვერც ვერაფერს ხედავს და არც რამის დანახვა სურს. მათთვის მთავარია სიწყნარე და სიმშვიდე.

## სიღარიბის შესახებ

**— ამას წინათ რუსეთის შორეულ რაიონებში იყავით. ხალხის უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ ირჩინოს თავი. შველისათვის მხოლოდ არაყს მიმართავენ.**

— ის რომ გავიგოთ, რაც ხდება, უნდა გადავიკითხოთ კლასიკური ნაწარმოებები. ბულგაკოვის „ძაღლის გულში“ პროფესორი პრეობრაჟენსკი ამბობს: „თუ მე, დარია პეტროვნა და ზინა უნიტაზის გარეთ მოვშარდავთ, ჩვენთანაც, საპირფარეშოში, მოხდება ნგრევა“. გავიგოთ, ის, ვინც სვამს და არ უნდა მუშაობა, იცხოვრებს სიღარიბეში.

**— სიღარიბეში ჩვენთან არა მხოლოდ ლოთები ცხოვრობენ. პაპაჩემი მთელი ცხოვრება სამხედრო ჟურნალისტად მუშაობდა და საბჭოთა პერიოდში დიდი თანამდებობაც ეკავა. ახლა ის პენსიონერია, მისი პენსია, დიდი-დიდი, კომუნალური გადასახადებისთვის თუ ეყოფა.**

— თქვენც რა, ახალ ამბებს მეუბნებით?! გინდათ, რომ ჩავერთო დიალოგში? მე ვღებულობ ყველაზე მაღალ პენსიას (ბალეტის მსახიობთა საპენსიო ასაკი — 38 წლიდანაა — **რედ.**ძ. სოლიდურია ჩემი დაგროვების ფონდი, დიდი თეატრისა და მარიას თეატრის გარდა მე ვმუშაობდი ტელევიზიაში და ა.შ. და მომცეს 9,5 ათასი რუბლი! რა შეიძლება მოსკოვში ამ ფულით იყიდო?

**— ვთქვათ... არც თუ ურიგო ფეხსაცმელი.**

— ფეხსაცმელი. მერე რა? ოლიმპიურ თამაშებზე ყველა დასავლელი კომენტატორი ჩვენი ჰოკეის გუნდზე ამბობდა: „რისთვის იკლავენ ეს რუსი ბიჭები თავს, თუ უკვე დიდი ხანია ნხლ-ში თამაშობენ? მათ ეშინიათ არ დაკარგონ სიცოცხლისბოლომდელი კონტრაქტი, რომელიც მათ დასავლეთში გიგანტურ თანხას ჰპირდება. მათთვის ჯობია, იქ უკეთესად ითამაშონ, შემდეგ კი იცხოვრონ მშვიდად“. ეს სიმართლეა! მე კი, ჩემს თაობაში ყველა ტიტულის მქონე მსახიობი, რაც კი ბალეტში არსებობს, წელებზე ფეხს ვიდგამ, წარმოვადგენ ჩვენს ბალეტს მსოფლიოს საუკეთესო თეატრებში, ვღებულობ უბრალოდ სასაცილო პენსიას! ამ სიტუაციაში უცნაურიც კია პატრიოტიზმზე საუბარი...

**— სხვათა შორის, პატრიოტიზმის შესახებ, თქვენ ქართველი ხართ, მაგრამ ცხოვრობთ რუსეთში. ამას წინათ ქართულმა ტელევიზიამ პროვოკაცია მოაწყო, აჩვენა სიუჟეტი, თითქოსდა, რუსეთის არმია როგორ შეიჭრა საქართველოში...**

— როდესაც მესმის: საქართველოში ყველაფერი რიგზე არ არისო, გული მტკივა. არაფრის გაკეთება არ შემიძლია. მხოლოდ შემიძლია აღვშფოთდე, ვთქვა, რომ ეს ცინიზმის უკიდურესი საზღვარია და ტელეარხი, რომელმაც ეს ჩაიდინა, უნდა დაიხუროს. როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და საქართველო ცალკე სახელმწიფო გახდა, მე და დედაჩემი ერთ დღეს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები აღმოვჩნდით, ამის გათვითცნობიერება ძნელია. როდესაც საქართველოში დედასთან ჩავედი, ჩემი წარმოთქმით გასაგები იყო: რუსული ჩემთვის მთავარია. ტრანსპორტში მლანძღავდნენ, მიყვიროდნენ, რა უფლება გაქვს, რომ ძაღლის ენაზე ლაპარაკობო. ჩემთვის ეს გაუგებარი იყო — მე ხომ გავიზარდე ქალაქში, სადაც არასოდეს ყოფილა ეროვნული პრობლემები.

## „ფორმას ვინარჩუნებ“

**— ნიკოლოზ, რას აკეთებთ ამჟამად დიდ თეატრში?**

— ვცეკვავ რეპერტუარს და იძულებული ვარ, ვამზადო სპექტაკლები მოსწავლეებთან. ანჟელინა ვორონცოვასთან ერთად გავდივართ „მძინარე მზეთუნახავის“ რეპეტიციას.

**— რატომ „იძულებული ვარ“?**

— პასუხისმგებლობა ვიკისრე. დილიდანვე კლასში მისვლა — ეს ჩემთვის ყოველთვის გამარჯვებაა. მაგრამ ვაიძულებ თავს, ადრე ავდგე: გაკვეთილი უნდა წავიყვანო. თორემ ვიტყოდი ასე: „ცოტას კიდევ წავუძინებ“. პასუხისმგებლობას ყოველთვის ფორმაში ვყავარ.

**ოლგა შაბლინსკაია**

Аргументы и факты

### ჩვენი ცნობა:

***ნიკოლოზ ცისკარიძე** დაიბადა თბილისში 1973 წელს. დაამთავრა მოსკოვის აკადემიური ქორეოგრაფიული სასწავლებელი. სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის პრემიერი, რუსეთის სახალხო არტისტი, საფრანგეთის რესპუბლიკის ორდენის „ხელოვნებასა და ლიტერატურაში დამსახურებისთვის“ კავალერი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი, რუსეთის სახელმწიფო პრემიის მრავალგზის ლაურეატი.*

---

◉ რუბრიკის პრემიერა: ენა მდიდარი...

**განყოფილებას უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გივი ბოჯგუა**



# „და მის სიკვდილით არ გაგახარებთ“

## 2. უცხო სიტყვას ავად დახარბებულნი

ბარე ექვსიოდე წლის წინათ დამევალა დარბაზის გამოძებნა გამომცემლობა „განათლების“ სასკოლო სახელმძღვანელოთა გამოსაფენად და საზოგადოებისთვის გასაცნობად. დახმარებისთვის მივმართე ეროვნულ ბიბლიოთეკას. სულ პირველად ქ-ნ ნინო გედენიძეს დავუკავშირდი. მკითხა, რისთვის გინდათ დარბაზიო. სახელმძღვანელოთა **პრეზენტაციისთვის**-მეთქი. მწყრალად შემომხედა. ეგ სიტყვა აგვიკრძალა ჩვენმა დირექტორმა ზაზა აბაშიძემო. უზომოდ გამიხარდა. თავადაც ვებრძოდი პრეზენტაციას პრესაში, მაგრამ უნებლიეთ წამომცდა და დავისაჯე კიდეც.

დრო გადის. ამ გაპრანჭულ სიტყვას ვერა და ვერ ელევიან მავანნი, ყველაზე მეტად კი — ტელეჟურნალისტები. ისინი მშობლიურს ჩქმალავენ, სხვისას ალაღებენ და ჯიუტად ამკვიდრებენ. **წარდგენა, წარმოდგენა, წარდგინება** უცხოა მათთვის, პრეზენტაცია კი — „მშობლიური“.



საზღვარგარეთულ ენათა ვითომ დიდებულად მცოდნენი ხშირად იყენებენ **იკა**-თი დაბოლოებულ საყოველთაოდ ცნობილ უცხო სიტყვებს: ფანტასტიკა, ლირიკა, ესთეტიკა, პათეტიკა, პლასტიკა და სხვა, მაგრამ მცდარად წარმოგვიდგენენ მათგან ნაწარმოებ სიტყვებს. ისინი ნიადაგ ამბობენ, წერენ, ყურში ჩაგვჩიჩინებენ პრესის, რადიოს, ტელევიზიის მეშვეობით: **ფანტასტიური** თამაშობაა „ეკივოკი“; **ლირიული** ლექსები წაგვიკითხეს პეტებმა; საოცარი **ესთეტიური** სიამოვნება მივიღეთ; **პათეტიური** სულისკვეთებით გამოირჩეოდა ორატორი; მოცეკვავემ მოგვხიბლა **პლასტიური** ილეთებით და ა. შ. არადა, უნდა ეთქვათ: **ფანტასტიკური, ლირიკული, ესთეტიკური, პათეტიკური, პლასტიკური...**

მართალია, არის გამონაკლისებიც, მაგრამ ჩვენი „პოლიგლოტები“, იმედია, არ იტყვიან: **პუბლიცისტიკურიო, ჟურნალისტიკურიო, აკრობატიკულიო...** პუბლიცისტურის, ჟურნალისტურის, აკრობატულის ნაცვლად.

მშობლიური სიტყვების უგულებელყოფა აკნინებს დედაენას და ეროვნულ აზროვნებას უჩლუნგებს ადამიანს.

* * *

**გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის მოსაზრება: მხოლოდ ის ერი შეიძლება დაადგეს პროგრესის გზას, რომელიც აზროვნებს და მეტყველებს მშობლიურ ენაზე.**

ძიუდო

# საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონია!



## ოქრო – გუნდურში, ვერცხლი – პირადში

**გასულ უქმეებზე ავსტრიაში დამთავრდა ძიუდოისტთა პირადგუნდური ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრები 8 სპორტსმენით მონაწილეობდა.** ამირან ტოტიკაშვილის შეგირდებმა პირად პირველობაში მხოლოდ ერთი ვერცხლი მოიპოვეს: ევროპის შარშანდელმა მეორე პრიზიორმა ვარლამ ლიპარტელიანმა 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან იპონებით უნგრელი ლევენტე ლედენი, პოლონელი ლუკაშ კოლესნიკი და ბრიტანელი მეთიუ პურსიე, ხოლო აზერბაიჯანელ ელხან მამადოვს 2 იუკოთი სძლია. ფინალში ქართველი ფალავანი დამატებით დროში შვედ მარკუს ნიმანთან დამარცხდა.



დანარჩენი ჩვენი სპორტსმენები (დავით ასუმბანი, შალვა ქარდავა, ზაზა კედელაშვილი, ლევან წიკლაური, ლომერ ჟორჟოლიანი და ზვიად ხანჯალიაშვილი), სამწუხაროდ მედლებს ვერ შესწვდნენ, სამაგიეროდ, გუნდურ ჩათვლაში ავიდნენ ისინი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. გადამწყვეტ შეხვედრამდე ჩვენმა ბიჭებმა მოლდოველებსა და პოლონელებს აჯობეს, ოქროს მედლებისთვის კი ფრანგებს დაუპირისპირდნენ. მართალია, დავით ასუმბანმა (60კ) და ლაშა გუჯეჯიანმა (მძიმე წონა) ორთაბრძოლები სოფიან მილუსთან და ტედი რინერთან დათმეს, მაგრამ ზაზა კედელაშვილმა (73კ), ლევან წიკლაურმა (81კ) და ვარლამ ლიპარტელიანმა (90კ) ლუის კორვალი, ანტუან ჯანინი და რომან ბუფე იპონებით დაამარცხეს და საქართველოს ნაკრებს მორიგი ტიტული მოუტანეს. საგულისხმოა, რომ წიკლაურმა და ლიპარტელიანმა სამივე შეხვედრა მოიგეს.

ფეხბურთი

# აქეთურ–იქითური

**როცა თბილისის „დინამომ“ ჯორჯ აკირემი იყიდა, ბუნებრივია, იმედოვნებდა, რომ განელი თავდამსხმელი მალე მონახავდა საერთო ენას ახალ პარტნიორებთან და მასზე გაცემულ ავანსებს შედეგიანი თამაშით გაამართლებდა.**

ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ აფრიკელ ლეგიონერს „თეთრლურჯებთან“ ადაპტაციის პერიოდი გაუჭიანურდა და კანტიკუნტად თუ გაჰქონდა გოლები.

სასიამოვნო მეტამორფოზა საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი კლუბიდან სერბეთის ქალაქ ნოვი-სადის „ვოივოდინაში“ მისი იერიშების სულისჩამდგმელის გიორგი მერებაშვილის გადაბარგების შემდეგ მოხდა – თითქოს ამ მომენტს უცდიდაო, ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებულმა ოცდამეექვსე ნომერმა გოლების გატანას მოუხშირა და თანდათან გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა.



და აი, მისი ტალანტის კიდევ ერთი გამოვლინება – ეროვნული ჩემპიონატის მორიგ ტურში გათამაშების ცხრილში მეორე პოზიციამდე აღზევებულ დილმელთა სნაიპერმა ტრადიციულად უხერხულ მეტოქესთან „ვიტ ჯორჯიასთან“ დუბლი შეასრულა და კახი კაჭარავას შეგირდებს ნავსი გაატეხინა – 2:0. შეგახსენებთ, რომ 26 მაისს ქუთაისში სწორედ ამ მეტოქესთან მოუწევთ დინამოელებს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩის გამართვა.

**დანარჩენი შედეგები:** „ოლიმპი“ – „გაგრა“ 3:0, „ზესტაფონი“ – „სიონი“ 1:0, „ლოკომოტივი“ – „ცხინვალი“ 2:1, „ბაია“ – „სამტრედია“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ოლიმპი“ – 72, „დინამო“, „ზესტაფონი“ – 61-61 ქულა.

* * *

**იტალია. XXXV ტური.** „ინტერი“ – ატალანტა“ 3:1, „რომა“ – „სამპდორია“ 1:2, „პალერმო“ – მილანი“ 3:1.

**ესპანეთი. XXXIV ტური.** „ბარსელონა“ – „ხერესი“ 3:1, „სარაგოსა“ – „რეალი“ 1:2, „ვალენსია“ – „დეპორტივო“ 1:0.

**ინგლისი. XXXVI ტური.** „ჩელსი“ – „სტოკი“ 7:0, „მანჩესტერი“ – „ტოტენჰემი“ 3:1, „არსენალი“ – „სიტი“ 0:0.

**გერმანია. XXXII ტური.** „გლადბახი“ – „ბაიერნი“ 1:1, „ჰერტა“ – „შალკე“ 0:1, „ვერდერი“ – „კიოლნი“ 1:0.

**საფრანგეთი. XXXIV ტური.** „მარსელი“ – „სენტ ეტიენი“ 1:0, „ტულუზა“ – „ოსერი“ 0:3, „ლე მანი“ – „ლილი“ 1:2.

**ჰოლანდიის თასის I ფინალური მატჩი.** „აიაქსი“ – „ფეიენოორდი“ 2:0.

კალათბურთი

# პირველი შედეგები

**ახალმა მთავარმა მწვრთნელმა არჩილ ჟღენტმა რომ ძირფესვიანად შეცვალა შინაგან საქმეთა სამინისტროს მესვეურთა დამოკიდებულება აღნიშნული უწყების კალათბურთელთა გუნდის მიმართ, მისი წლევანდელი შედეგიც ადასტურებს – რამდენიმე თვის წინათ შექმნილმა კოლექტივმა პლეი-ოფი „ბათუმს“ მოუგო და პირველ ნახევარფინალურ მატჩში აქამდე დაუმარცხებელ „ენერჯი ინვესტსაც“ ცხარე ბრძოლა გაუმართა.**

მეტიც – მრავალრიცხოვანი ქომაგებით მხარდაჭერილი ძალოვნები, რომლებიც რუსთავს სამი ავტობუსით ეწვივნენ, დებიუტშივე დაწინაურდნენ – 19:11, თუმცა ბაბიაშვილის, ჭოჭუასა და ცეკვავას ძალისხმევით მასპინძლებმა მალევე გამოასწორეს მდგომარეობა და მძიმე გამარჯვება მოიპოვეს – 82:76.



მთელი სეზონის განმავლობაში ჩრდილში იდგა თსუ-ს სნაიპერი კეიდია, მაგრამ დაიწყო გადამწყვეტი რაუნდი და მანაც აიწყვიტა. ამჯერად ირაკლიმ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტთა წინააღმდეგ გაიბრწყინა (22 ქულაძ და ბარბაქაძესთან და მინაშვილთან ერთად გადამწყვეტი წვლილი შეიტანა პარტნიორთა წარმატებაში – 90:81. დღეს მეტოქენი მეორედ შეხვდებიან ერთმანეთს.

ჭადრაკი

# ანანდი–ტოპალოვი 1:1



**სოფიაში დაიწყო ფინალური მატჩი მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბულგარელ ვესელინ ტოპალოვსა და ინდოელ ვიშვანათან ანანდს შორის. პირველი პარტია თეთრებით მასპინძელმა მოიგო, მაგრამ მეორეში ანანდმა, ასევე, თეთრებით წონასწორობა აღადგინა. მესამე პარტია დღეს გაიმართება.**

მოკრივე

## კლიჩკოს პარტიას ქმნის

**სახელგანთქმული უკრაინელი მოკრივე, მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო, რომელიც ამავე დროს კიევის საბჭოს დეპუტატიცაა, სათავეში ჩაუდგა ახალ პოლიტიკურ პარტიას „უკრაინის დემოკრატიული ალიანსი რეფორმებისთვის“. რაც შემოკლებით და რუსულად გამოდის „удар“ – „დარტყმა“, – იტყობინება კლიჩკოს ბლოკის პრესსამსახური.**

„ჩვენი გუნდის მიზანია, შექმნას ქვეყნის წარმატების წანამძღვრები, ჩვენ მივისწრაფით წარმატებული, განათლებული, აქტიური ადამიანების გაერთიანებასა და სახელმწიფოს მართვაში ჩართვისკენ. მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყება რეალური ცვლილებები“, – განაცხადა კლიჩკომ პარტიის ყრილობაზე.

შემდეგ კი დაამატა, „მე მივეჩვიე მიზნის მიღწევას. დარწმუნებული ვარ, რომ ასე იქნება მარტო სპორტში კი არა, პოლიტიკაშიც“.



ინტერნეტიდან

## მწვრთნელმა კბილები დაკარგა



**ჰოკეი ბოლო დროს სპორტის ძალზე ტრავმის მიმყენებელი სახეობა გახდა. ამას წინათ ლატვია-საფრანგეთის ამხანაგურ მატჩზე კურიოზული ტრავმა მიიღო ლატვიის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა მარის ბალდონიექსმა. მოედნიდან გადმოვარდნილი შაიბა მას სახეში მოხვდა და რამდენიმე კბილი ჩაუმტვრია.**

საბედნიეროდ, ის იოლად გადარჩა, ალბათ იცით, რომ წლეულს, 30 იანვარს სწორედ შაიბის მოხვედრის შემდეგ დაიღუპა შვედი მსაჯი. მას შაიბა ყელში მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა.

## ადვოკაატი — 12 მილიონ ევროდ!

**არ გეგონოთ, თითქოს ლაპარაკი იყოს იურისტზე, რომელმაც ადვოკატობა, ჩვენებურად ვექილობა, აირჩია თავის სპეციალობად, არა, საქმე ეხება ფეხბურთში რუსეთის ნაკრების ახალ მთავარ მწვრთნელს დიკ ადვოკაატს, რომელსაც უკვე გაფორმებული ჰქონდა კონტრაქტი ბელგიის ნაკრებთან, მაგრამ, როგორც თავად ბელგიური პრესა აღნიშნავს, რუსები კიდევ ერთ ჰოლანდიელ მწვრთნელს, გუს ჰიდინკის შემდეგ, ოქროს მთებსა და გაწვრთნილ თეთრ დათვს დაპირდნენო და ამით გადაიბირესო.**



თუმცა რუსეთს ჯერჯერობით ამაზე ოფიციალურად არ გამოუცხადებია, ამას 17 მაისს გააკეთებენ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ ადვოკაატმა, ადრე სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს“ რომ edga სათავეში და 2008 წელს უეფას თასი მოაპოვებინა, უარი თქვა ბელგიურ 600 000 ევროზე, მას რუსული 12 მილიონი ევრო ამჯობინა. ყოველივე ამას „ზენიტის“ ყოფილი პატრონის, ახლა კი რუსეთის ფეხბურთის კავშირის ახალი პრეზიდენტის სერგეი ფურსენკოს დამსახურებად მიიჩნევენ. ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ ადვოკაატს ბელგიელებისთვის პირის გასატეხი მილიონი ევროს გადახდა მოუწევს, მაგრამ ეს 12 მილიონთან რა მოსატანია.

როგორც ამბობენ, გუს ჰიდინკის მთავარი დანაშაული ის იყო, რომ რუსეთის ნაკრებს ვერ მოაპოვებინა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგზურები. ახლა კი ადვოკაატმა უნდა უზრუნველყოს ევროპის მომავალ ჩემპიონატზე რუსეთის აუცილებელი მოხვედრა. ამისთვის მას ორი წელი ეძლევა. ვნახოთ!

## ლამაზმანის გაკვეთილები



**ამერიკული ფეხბურთის მოთამაშის ტომ ბრეიდის ლამაზმანმა ცოლმა და ახალგაზრდა დედამ ჟიზელ ბუნდჰენმა, ამას წინათ მოდელის კარიერა რომ დატოვა, მონაწილეობა მიიღო ორ სატელევიზიო სარეკლამო გადაცემაში. როგორც ფიქრობენ, ის მსახიობობას უმიზნებს.**

რეკლამა ეძღვნებოდა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს სამხრეთ აფრიკაში.

15-წამიანი იუმორისტულ გადაცემაში ის ედავება ლეგენდარულ ბრაზილიელებს – პელესა და რომარიოს. კერძოდ, საყვედურობს პელეს მოედნის ცენტრში დაშვებულ შეცდომებზე. ხოლო რომარიოს – შეტევის დამამთავრებელ სტადიაზე დაბნეული მოქმედებისათვის.

## ვასიკო მჭედლიშვილის ხსოვნას

# „აფსუს, გაზაფხულზე ვკვდები“...



სანამ ერთიანად არ მოცელა ავადმყოფობამ, არავის უმხელდა თავის გასაჭირს – ძველებურად ხუმრობდა, ვითომ ხალისობდა, როიალზე ჯაზურ თემებს დიდოსტატურად აგრიალებდა, ახალი ჟურნალის გამოცემაზე ოცნებობდა...

უკვე საშველი აღარ იყო და დაყაბულდა საავადმყოფოში მკურნალობას...

„იმ დღეს ნაღვლიანად გამიმხილა: „აფსუს, გაზაფხულზე ვკვდებიო“ – თვალცრემლიანი გვეუბნება სამძიმარზე მისულებს ქალბატონი ლია სალარეიშვილი – მისი უსათნოესი მეუღლე, გადაყოლილი ქმრის გამოჯანმრთელებას...

65 წლისა გამოგვეცალა ვასილ (ვასიკო) მჭედლიშვილი – უნიჭიერესი კაცი – გამორჩეული ჟურნალისტი, მუსიკოსი, გულმხურვალე მამულიშვილი, ფესვი რომ ქიზიყში ედგა და, თბილისში დაბადებულსა და გაზრდილს, სიღნაღის ხსენებაზე თვალებში სიამაყე უკრთოდა, წინაპარი ესახელებოდა...

სხვა ჩამოსხმისა იყო ჩვენი ვასიკო. ქართული ჟურნალისტიკის გუთნისდედის, თავის დროზე გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის დავით მჭედლიშვილის ვაჟიშვილს, შეეძლო უზრუნველად გაევლო ახალგაზრდული წლები, მაგრამ მას არასდროს უსარგებლია მამის მდგომარეობით. ვასიკო თავისუფლების მოტრფიალე, სიახლეთა მაძიებელი პიროვნება იყო, საკუთარი ცხოვრება ჰქონდა. უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის გამორჩეული კურსდამთავრებული, თავისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ-გაზეთებსაც გამორჩეულ სახეს აძლევდა. ასეთი გვახსოვს „ეკრანის ამბები“, „საქართველოს კინემატოგრაფისტი“, „სამშობლო“... ჟურნალი „პირიმზე“... ამ უკანასკნელ წლებში გამოცემული რამდენიმე, სხვადასხვა დასახელებისა და ჟანრის ჟურნალი, განსაკუთრებით „თეთრი ხიდი“... მათში ძალუმად იგრძნობა ვასიკოს დახვეწილი გემოვნება, მდიდარი ფანტაზია...

თითქოს, ფათერაკების მაძიებელიც იყო, შეჰხაროდა ნიჭიერებას, ვაჟკაცობას – ჯეკ ლონდონის, ჰემინგუეის, გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეთაყვანებოდა, სწორუპოვარი ზღვაოსნის, ლეგენდარული გემის კაპიტნის ანატოლი კაჭარავას ცხოვრებას ეტრფოდა, ზღვაზე გაქცევა, მის გვერდით დგომა უნდოდა და უძღვნა კიდეც კაჭარავას ბრწყინვალე ნარკვევი „ზღვა და კაპიტანი“...

ერთი სიამოვნებაა ვასიკოს რეპორტაჟების, ესეების, თარგმანების (ინგლისურს კარგად ფლობდა) კითხვა, სადაც ზედმიწევნით ჩანს მისი განსწავლულობა, ფრაზის სისადავე, ენის მოქნილობა...

სამწუხაროდ, მოუსვენარმა, დაუდეგარმა ხასიათმა, დღევანდელი არეულ-დარეული ვითარების ვერშეგუებამ უარყოფითად იმოქმედა მის პირად ცხოვრებაზე...

და გამოგვაკლდა იგი – კოლორიტი, დარდიმანდი, ცარიელა გული და ჯიგარი, ცარიელა სევდა და სიხარული... ცოტაც, შერეკილი, არავის რომ არ ჰგავდა, ისეთი...

მამის ნათელ ხსოვნას მისი უმშვენიერესი ასული დეა, მისი ყოჩაღი ვაჟიშვილები – დავითი და ავთანდილი მოუვლიან, დედა – ქალბატონი მედეა, და – ქეთევანი საკურთხს მოუმზადებენ და სანთელს დაუნთებენ-ხოლმე მუდამ სიცოცხლის ტრფიალ ვასიკოს, მის ხსოვნას, სანამ ამ ცოდვილ მიწაზე დავდივართ, არც ჩვენ დავივიწყებთ, სავსე ჭიქით ვახსენებთ მის სულს და, უფლის ნების მომლოდინენი, ამ ჰანგსაც ნაღვლიანად წავუღიღინებთ, ვასიკოს რომ ასე უყვარდა პურობის ჟამს: „ბინდის ფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება“.

მეგობრები

გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი, რედაქტორი, გამომცემელი და მუსიკოსი
ვასილ (ვასიკო) მჭედლიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის 1966 წლის კურსდამთავრებულები:

რუსუდან მრევლიშვილი, ბელა დურგლიშვილი, ჩარიტა მამისეიშვილი, ცისანა სიხარულიძე, ეთერ წულუკიანი, დოდო ნარმანია, ნუგზარ ფოფხაძე, ზაურ ფიფია, თენგიზ უთმელიძე, რამინ ჭელიძე, თენგიზ ფიფია, გივი ბერაია, ინდიკო კვეკვესკირი, შოთა გიგაური, ალექსანდრე დიდებაშვილი, ბიძინა მუსელიანი, ანზორ მაღრაძე, გურამ ბელქანია, გურამ ალაფიშვილი, ჯემალ გორდულაძე

ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მეუღლეს ლია სალარეიშვილს და შვილებს – დეა, დათო და ავთო მჭედლიშვილებს.

## უკანასკნელი ამოკვნესა

„აფსუს, გაზაფხულზე ვკვდები“ – უკანასკნელად ამოუკვნესია ვასიკოს სიკვდილის წინ.

*მე – ამაყი შენი მთებით,*
*მე – ამაყი შენი ზვრებით,*
*მამაზეციერის ნებით –*
*აფსუს, გაზაფხულზე ვკვდები.*
*თან მიმყვება მონატრება –*
*ტურფა ველის ალაზნისა...*
*სულ გფარავდეს, ჩემო მიწავ,*
*მადლი მოკაშკაშე მზისა!*

ვილენ მარდალეიშვილი

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი პატრიოტის, დამსახურებული ჟურნალისტის, ბრწყინვალე პიროვნების
ვასილ მჭედლიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და მის მეგობრებს.

თბილისის პირველი სკოლის 1961 წლის კურსდამთავრებულები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თანაკლასელის
ვასიკო მჭედლიშვილის
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ თანაუგრძნობს ასოციაციის წევრს დეა მჭედლიშვილს მამის
ვასილ მჭედლიშვილის
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## ხსოვნა

# ნელი გილაური



მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინსტიტუტის კლინიკო-დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ექიმ-ლაბორანტი ნელი გილაური.

ქალბატონი ნელი ინსტიტუტში მუშაობდა ოთხი ათეული წლის მანძილზე. იგი იყო გულისხმიერი, კეთილშობილი პიროვნება. გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. ქალბატონი ნელი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. მის მიერ გამოქვეყნებულია ათამდე სამეცნიერო ნაშრომი.

თავისი განუზომელი სიკეთით იმსახურებდა დიდ სიყვარულსა და პატივისცემას, როგორც ინსტიტუტის თანამშრომელთა, ისე პროფესიონალ სპეციალისტთა შორის.

ქალბატონი ნელის ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მეგობრების ფართო წრის გარეშე.

წავიდა ჩვენგან სიცოცხლეზე შეყვარებული პატრიოტი ქართველი, ახლობლებზე დაუღალავად მზრუნველი პიროვნება. მისი სანუკვარი ოცნება იყო ძმისშვილებსა და დისშვილებზე ზრუნვა.

ქალბატონი ნელის ნათელი სახე მუდამ დარჩება ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.

სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

# ლემა ზირაქიშვილი



ხანმოკლე მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტროპიკული მედიცინის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლემა ზირაქიშვილი.

ბატონი ლემა იყო სიცოცხლეზე შეყვარებული, გულანთებული, მგზნებარე პატრიოტი ქართველი. იგი აღიზარდა ინტელიგენტი მშობლების ოჯახში, რამაც მისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა იქონია.

ბატონი ლემა იყო დახვეწილი ინტელიგენტი. მის მომხიბვლელ სულიერ სამყაროს მეტად ალამაზებდა მუსიკისა და ხელოვნებისადმი სიყვარული.

ბატონი ლემა ინსტიტუტში მუშაობდა ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს, დაწყებული მეცნიერ-თანამშრომლიდან, დამთავრებული დირექტორის მოადგილის თანამდებობით. მის მიერ ტროპიკული მედიცინის აქტუალურ საკითხებზე შესრულებულია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ბატონ ლემას განსაკუთრებით დიდი წვლილი მიუძღვის სამედიცინო ჰელმინთოლოგიის დარგში კადრების მომზადებაში, ის წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას სხვადასხვა ინსტიტუტებში, აქტიურად მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ტროპიკული ინსტიტუტის ბაზაზე მოწყობილ სემინარებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია, როგორც ინსტიტუტში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

ბატონი ლემა აქტიურად იყო ჩართული საქართველოში მალარიის, ანკილოსტომიდოზის ლიკვიდაციის სამუშაოებში.

ბატონი ლემა გახლდათ ფართო დიაპაზონის შემოქმედებითი პოტენციალით დაჯილდოებული მეცნიერი, რომელიც ყოველთვის ახლის ძიებაში იყო. მისი ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელი იყო მეგობრების ფართო წრის გარეშე. მისი ინიციატივით ვეტერინარებთან ერთად, 2009 წელს ქ. თბილისში გაიმართა პარაზიტოლოგთა ასოციაციის X სამეცნიერო კონფერენცია, ოთხი სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებისათვის.

ბატონი ლემა სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით, როგორც ინსტიტუტის თანამშრომელთა, ისე ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ ცნობილ პარაზიტოლოგთა შორის.

ბატონი ლემა სამეცნიერო, პრაქტიკულ და პედაგოგიურ საქმიანობაში წარმატებული მუშაობისთვის დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

ბატონი ლემა იყო მეუღლეზე, შვილსა და შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული და მზრუნველი.

ბატონი ლემას მიერ განვლილი საინტერესო ცხოვრება და მისი ჭეშმარიტად ნათელი სახე მუდამ დარჩება ოჯახის, ახლობლების, მეგობრებისა და მისი ერთგული მოწაფეების ხსოვნაში.

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი.



შვილიშვილი მიხეილ გიორგაძე, ძმისწულები მარინა, ნატო, თამუნა ჩხაიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
გოგუცა ჩხაიძე-გიორგაძე
პანაშვიდი 27, 28 IV, 16 სთ. გამოსვენება 29 IV, 15 სთ. მისამართი: ირაკლი აბაშიძის 46, IV სადარბაზო, IV სართული.

შვილები ალიკო და მედიკო, ძმა ანზორ შონია, რძალი დოდო ფიფია, სიძე დემურ შამუგია, რძლები ცეცე თოდუა, დიანა კვირტია, დისწულები, ძმისწულები, ბიძაშვილ-მამიდაშვილ-დეიდაშვილები, შვილიშვილები და შვილთაშვილები, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, ზუგდიდის ერთ-ერთი კოლორიტი
ალიოშა ბუხუტის ძე ტაბაღუა
პანაშვიდი 27, 28 IV, 16 სთ. გამოსვენება 29 IV, 15 სთ. ზუგდიდი, თავისუფლების ქ. №41.

ახლო მეგობრები ჯემალ კვირტია, ოთარ ჭითანავა, ნუგზარ ნადარაია, კახა არდია, თამაზ გაფრინდაშვილი, ირაკლი კიზირია მწუხარებით იუწყებიან და თანაუგრძნობენ ანზორ შონიას ძმის
ალიოშა ტაბაღუას
გარდაცვალების გამო.

თანაკლასელები ჯოჯი თოდუა, არსენ ლოლუა, თენგიზ მეუნარგია, რემი დეისაძე, ოთარ ბულია, გენო კობახიძე, ვაჟა კეიდია მწუხარებით იუწყებიან და თანაუგრძნობენ ანზორ შონიას ძმის
ალიოშა ტაბაღუას
გარდაცვალების გამო.

ქ. თბილისში ფოთელების საზოგადოების გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს მეგობარს ანზორ შონიას ძმის
ალიოშას
გარდაცვალების გამო.

მამია სულაბერიძე ოჯახით მწუხარებას გამოთქვამს
ავთანდილ (გურიკო) ტულუშის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ფრიდონ, ავთანდილ და გიორგი ბენდუქიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ
ავთანდილ (გურიკო) ტულუშის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ლამზირა ჯაჯანიძე, შვილები ნატო და შორენა, სიძე ალეკო სხილაძე, შვილიშვილები დაჩი და ნიტა, ძმა თამაზი, რძალი მარინა ოზაშვილი, ძმისწულები დიანა და გიგა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თენგიზ ყატაშვილი
პანაშვიდი 27, 28 IV, დაკრძალვა 29 IV, 14 სთ. მისამართი: იოსებიძის 51 ბ, II სადარბაზო.

დეიდაშვილები კახმეგ კუდავა, თენგიზ, ეთერ კუდავები, ბიძაშვილი ციცინო ოზოლაშვილი, მამიდაშვილი ნანა მირველაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თენგიზ ყატაშვილი
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### შუქი ჩააქრეთ, გაზი გამორთეთ!

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ბუნებრივი რესურსების, ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიის კომიტეტის ინიციატივით მიიღეს „ენერგოდაზოგვის შესახებ კანონი“, რომლის თანახმად, 2011 წლის 1 იანვრიდან აიკრძალება 100-ზე მეტი ვატის, 2013 წლიდან – 75-ზე მეტი ვატის, ხოლო 2014 წლიდან – 25-ზე მეტი ვატის სიმძლავრის ელექტრონათურების გაყიდვა და, შესაბამისად, გახურების ნათურებზე საბოლოოდ უარის თქმა.



მათ ენერგოდამზოგავი ნათურები ჩაენაცვლება, რომელთა გაყიდვის დროს მითითებული უნდა იყოს, თუ რამდენად უფრო მეტად ეკონომიკურნი არიან ისინი. გარდა ამისა, 2012 წლის 1 იანვრამდე ყველა საცხოვრისში, იქ მობინადრეთა ხარჯით, დაყენებული უნდა იყოს ელექტროენერგიის, სითბოს, წყლისა და გაზის მრიცხველები. თქმა არ უნდა, ამ ხელსაწყოთა შეძენას ყველა ოჯახი უმტკივნეულოდ ვერ შეძლებს, თუმცა, მათ საშუალება ექნებათ სახელმწიფო სუბსიდიის ან გადახდის განვადების მიღება, რის მექანიზმზე ახლა მსჯელობენ.

სახელმწიფო სათათბიროში აცხადებენ, რომ როცა მოქალაქეებს ანგარიშს მრიცხველების ჩვენების მიხედვით გაასწორებენ, კომუნალურ კომპანიებს საკუთარი ქსელების ნამუსიანად შეკეთება მოუწევთ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ქუჩების „გათბობის“ საფასურის გადახდა თავად მოუწევთ და არა მომხმარებლებს, როგორც ეს ამჟამად ხდება.

### სულელობის წამალი



ამერიკელმა მეცნიერებმა შეძლეს მეხსიერების გენის სრულყოფა. მათმა საცდელმა ვირთაგვამ საოცარი ინტელექტი გამოავლინა: მის ადგილას ადამიანი რომ ყოფილიყო, მას შემთხვევით გაგონილი ტელეფონის ნომერი, რომელიც არაფერში სჭირდება, ერთი საათი მაინც ემახსოვრებოდა.

„მეხსიერების გენის მუშაობის სრულყოფის შემთხვევაში, რომელიც აღგზნებისა და დამუხრუჭების პროცესებზეა პასუხისმგებელი, სავსებით შესაძლებელია მეხსიერებისა და ინტელექტის ისეთი გაუმჯობესება, რომ, სავარაუდოდ, სავსებით დასაშვებია ხანდაზმულობით გონებასუსტის შენელების გზების მიგნება“, – აცხადებენ ფიზიოლოგები.

### ხოჭო-ნათურა

**სამხრეთ ამერიკის მრავალი მცხოვრები... ელექტროდენს არ საჭიროებს. ისინი სინათლის ორიგინალურ წყაროს – ალუბლის ხოჭოს ნაირსახეობას იყენებენ.**



ეს ხოჭო იმდენად ძლიერად ანათებს, რომ მას შუშის ქვეშ ათავსებენ და ლამფის მაგიერ მაგიდაზე დებენ. მეტად უცნაური კი ის არის, რომ ციცინათელა-ხოჭო ნაირფრად – მწვანედ, წითლად და ცისფრად ანათებს.

## დღის კალენდარი

### 27 აპრილი

წმინდისა მოწამისა დიმიტრისა (ყიფიანი 1887წ.

ხსენება მღვდელმთავარ მარტინე აღმსარებლისა, რომის პაპისა, წმიდა მოწამეთა: არდალიონისა და ქრისტეფორე საბაიტელისა, ვილენის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა, მოწამეთა ათასთა სპარსელთა და აზატი საჭურისისა.



ამოდის 05.04
ჩადის 18.54



ამოდის 18.01
ჩადის 03.55

### დაიბადნენ:

**1791 – სემუელ მორზე,** ამერიკელი მხატვარი და გამომგონებელი. გარდაიცვალა 1872 წელს.

**1820 – ჰერბერტ სპენსერი,** ინგლისელი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1903 წელს.

**1822 – ულის სიმფსონ გრანტი,** ამერიკელი გენერალი და ქვეყნის მე-18 პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1885 წელს.

**1916 – შოთა მესხია,** ისტორიკოსი. გარდაიცვალა 1972 წელს.

**1929 – ნოდარ მალაზონია,** მხატვარი.

**1932 – ანუკ ემე (ფრანსუაზა სორიაძ,** ფრანგი მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1521 – ფერდინანდ მაგელანი,** პორტუგალიელი ზღვაოსანი. მოაწყო პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

**1915 – ალექსანდრ სკრიაბინი,** კომპოზიტორი, პიანისტი.

### მოვლენები:

**1908 წელი** – ლონდონში დაიწყო IV ოლიმპიური თამაშები.

**1947 წელი** – ნორვეგიელმა ანთროპოლოგმა ტურ ჰეიერდალმა დაიწყო მოგზაურობა „კონ-ტიკით“, რომელიც 101 დღეს გაგრძელდა.

**1978 წელი** – ავღანეთში მოხდა სამხედრო გადატრიალება.

**1988 წელი** – მის ჯერტი ედვარდს ლანდმა 90 წლის ასაკში ავტომანქანის მართვის მოწმობა აიღო. ეს ბრიტანეთის რეკორდია.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ისრაელი** – იომ ხაციკარონ.
**ავსტრია** – მეორე რესპუბლიკის დღე.
**ტოგო** – დამოუკიდებლობის დღე.
**იაკუტია** – რესპუბლიკის დღე.
**სიერა ლეონე** – დამოუკიდებლობის დღე.
**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა** – თავისუფლების დღე.

**მელიანიუსი**

აუდიტი 34-84-83, 899 49-19-97

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7519 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3318 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6932 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9844 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4681 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1801 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2104 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1797 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5661 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +19 |
| ბათუმი. | +7 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +16 |
| თელავი. | +9 – +16 |

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

– წარმოგიდგენია, გუშინ ადრე დავბრუნდი სახლში და ცოლს საყვარელთან არ წავუსწარი! – ეუბნება პეტკა ძმაკაცებს, – მაშინვე გადაჭრით დავაყენე საკითხი: ან – მე, ან – ის!
– მერე?
– რა მერე – ახლა მას გააქვს ნაგავი.

* * *



ტუალეტში, უნიტაზს ზემოთ, მრისხანე წარწერაა: „უნიტაზში გაზეთს ნუ ჩააგდებთ!..“

ქვევით კი ვიღაცას გაკრული ხელით წაუწერია: „მიკრობებმა წერა-კითხვა არ იციან“.

* * *

გამუდმებით ვადევნებ თვალს ჩემს წონას და ყოველდღე ვიწონები. თუ გუშინდელზე ცოტათი მაინც გამხდარი ვარ, თავს რაიმე გემრიელი საჭმლით ვიჯილდოებ, ხოლო თუ გუშინდელთან შედარებით წონაში მომატებული ვარ, თავს რაიმე გემრიელით ვინუგეშებ.

* * *

ბიჭი გოგოს წვეულებაზე ეუბნება:
– წავიდეთ და ის გამიკეთე, რის შემდეგაც იძულებული ვიქნები, რომ აუცილებლად დავქორწინდე შენზე.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.